წლიწადი მეოთხე — ფასი 10 კ. — პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა 1 იანვარი 1928 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22 ოთახი 20. ტელ. № 23 87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 50

## ჟურნალის შინაარსი

რა მოხდა ბათომში — **ყარიბი**; „ბრძოლის" კალმოსანს ნ. ჟუმბურიძეს — **ალ. ხელაძე**; ახალი წლისათვის — **ლეო შენგელაია**; ინგლისის იმპერიალიზმი და კოლონიალური ერები — **ს. ელიაძე**; ლოკაუტი თუ შეთანხმება? — **ლილი**; სოციალ-დემოკრატია და საბჭოთა კავშირი — **ერმოკრატი თალაკვაძე**; თბილისის ალმასკომის მუშაობა — **შ. გომართელი**; ქართველი ახალგაზრდობა ყოფ. ახ. მარქსთან — **შოთა გოგუა**; რა მოხდა — **აფრასიონ ურატაძე**; მგელ-კაცები — **ლავრენტი კუპრაშვილი**; ჩემი განცხადება — **ი. ხატიაშვილი**; უსინათლო მსახიობთან — **დ. თურდოსპირელი**; სასარგებლო მუშაობა — **ქართლელი**; წერილი პროვინციიდან.

# რა მოხდა ბათომში

II.

რას გვეუბნება ეს ფაქტი?

იმას, რომ ჟორდანიამ და მისმა მთავრობამ მოინდომეს კომუნისტების წინააღმდეგ ოსმალეთის გამოყენება. ამ მიზნით მათ მოიწვიეს ოსმალეთის ჯარები და მოახდინეს მათ ახალციხის და ახალქალაქის მაზრებისა და საქართველოს თვალი ქ. ბათომისა და ბათომის ოლქის ოკუპაცია.

ეს ფაქტი თუ პირველი არა, იშვიათი მაგალითი მაინც არის იმისა, რომ რომელიმე ერის მთავრობას მტერთან ბრძოლის დროს მეორე მტრისთვის ეთხოვოს: ჩემი სახელმწიფოს საუკეთესო ნაწილებს ოკუპაცია გაუკეთე და შენს სახელმწიფოს ტერიტორიას შეუერთეო.

გამოგიტყდებით, რომ ჩვენ მეორე ასეთი მაგალითი არ გვეგულება.

ჟორდანიას მთავრობის ასეთი პოლიტიკური ნაბიჯი უფრო გავს იმ ბავშვის მოქმედებას, რომელიც იმის შიშით, რომ მეორე ბავშვმა არ წამართვასო, თავის საყვარელ სათამაშოს ცეცხლში აგდებს და იძახის:

— დეე, დაიწვას. ნურც შენ გექნება, ნურც მე!

აბა, სად გაგონილა ასეთი პოლიტიკური აქტი პოლიტიკური მოღვაწისა? თუ ასეთი ნაბიჯის გადადგმა ჟორდანიას სახუმრო საქმეთ მიაჩნდა, თუ ის ფიქრობდა, რომ მის მიერ ოსმალეთთან დადებული ასეთი აქტი დროებითი და წარმავალი მნიშვნელობის იქნებოდა, მაშინ მას უნდა მოვახსენოთ, რომ მას არ სცოდნია, თუ რა არის მთავრობა და ისიც დამფუძნებელი კრების მიერ დადგენილი მთავრობა, რა უფლებებით არის იგი აღჭურვილი. ჟორდანიასა და მის მთავრობას ისიც არ სცოდნიათ, რომ მათ მიერ გაცემული ვექსილი სავალდებულო იქნებოდა ქართველი ხალხისთვის, რომ მათ მიერ გაცემული საქართველოს ტერიტორია საუკუნოთ უნდა დარჩენილიყო ოსმალეთის ტერიტორიის შემადგენელ ნაწილად.

ჟორდანიასა და მის მთავრობას არ სცოდნიათ თავისი ძალა და მნიშვნელობა, მათ არ სცოდნიათ ქვეყნისა და ხალხის წინაშე მათი მოვალეობა. ისინი საქართველოს ხედავენ, როგორც საკუთარ სათამაშო ნივთს და მის ბედს ისე განაგებენ, როგორც ეს მათ მოესურვებათ. არავის, არც ქართველ ხალხს, არც მის დამფუძნებელ კრებას არ ეკითხებიან: სურთ მათ ოსმალეთთან შეერთება თუ თავისი საკუთარი ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნება და საბჭოთა წყობილების მიღება.

მაგრამ თავისი ბავშვური პოლიტიკური ნაბიჯის მთელი საშინელება ჟორდანიამ გაიგო ცოტა გვიან, მაშინ, როცა მოყვრულად მოპატიჟებულმა მტრებმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას იმედები არ გაუმართლა, როცა ოსმალეთის საოკუპაციო ჯარების სარდლობამ თავისი მგლური სახე გამოაჩინა და დაპირებულ „სამოქალაქო მართვა-გამგეობაზე" ჟორდანიასა და მის მთავრობას უარი მოახსენა.

მაშინ და მხოლოდ მაშინ მიხვდენ ჟორდანია და მისი მთავრობა თავისი საქართველოს დამღუპველი პოლიტიკური ნაბიჯის მთელ საშინელებას. მათ მხოლოდ ახლა გაიგეს, რომ ასეთი პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმით მათ საუკუნოთ ჩამოაშორეს საქართველოს ქ. ბათომი და ბათომის ოლქი, მათ საქართველოს მოუსპეს ყოველგვარი გასაქანი პროგრესისა და კულტურის გზაზე, რომ ჩაჰკეტეს და ჩააყენეს საქართველო ისეთ პირობებში, როგორშიაც იყო იგი საუკუნეთა განმავლობაში, სანამ მე-XIX საუკუნის მიწურულში რუსეთის მხედრობამ არ დაამარცხა ოსმალეთი, საქართველოს არ შემოუერთა მისი საუკეთესო ნაწილი ბათომი და ბათომის ოლქი...

მხოლოდ ეს იყო მიზეზი, რომ ჟორდანიამ და მისმა მთავრობამ სრულიად მოულოდნელად გამოიცვალეს ორიენტაცია და ისევ კომუნისტებს დაუწყეს ხვეწნა: მოიღეთ მოწყალება. გარეკეთ ბათომიდან ჩვენ მიერ მოწვეული ოსმალეთის საოკუპაციო ჯარები, ეპატრონეთ ქვეყანას, მხოლოდ მისი, ჩვენ მიერ დარღვეული მთლიანობა კი აღადგინეთო.

კომუნისტებიც ასე მოიქცენ.

მერე რით გადაუხადეს მათ ჟორდანიამ და მისმა მთავრობამ ქართველი ხალხისადმი ასეთი დამსახურება?

მითი, რომ ისინი ოკუპანტებათ გამოაცხადეს.

როცა ნ. ჟორდანია ასეთ „აბრუნდს“ აკეთებდა, მას, ალბათ, არ ახსოვდა, რომ დღეს არაფრის დამალვა არ შეიძლება. მართალია, მან საქართველოდან ბევრი დოკუმენტი წაიღო, მაგრამ აქაც საკმაო დოკუმენტები დაგვრჩა იმის დასამტკიცებლად, რომ აქ. დემოკრატიულმა მთავრობამ ოსმალეთს გადასცა საქართველოს საუკეთესო ნაწილები, რომ ამ მთავრობამ თვითონ მოიწვია ოსმალეთის საოკუპაციო ჯარები და საქართველოს თვალი ბათომი მათ ჩააბარა

ჩვენ ხელთა გვაქვს, მაგალითად, ყარა ბექირის მამართვა საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტისადმი, რომელშიც ის აუწყებს საქართველოს ახალ ხელისუფლებას, რომ ოსმალეთის ჯარებმა **საქართველოს ძველი მთავრობის თხოვნით,** 1921 წლის 11 მარტის თარიღით უკვე მოახდინეს ქ. ბათომისა და ბათომის **ოლქის** ოკუპაცია.

ამასვე ამოწმებს საქართველოს დემოკრატიულ მთავრობის თავმჯდომარის ამხანაგი გრ. ლორთქიფანიძე. როცა საქართველოს რევკომის წარმომადგენელი მამია ორახელაშვილი მას ეკითხება ოსმალეთის მიერ ბათომის ოკუპაციის შესახებ, ლორთქიფანიძე სიტყვა-სიტყვით მას ასე უპასუხებს:

„ბათომში, მართალია არის ანგორის ჯარის ნაწილი, რომელიც აქ **ჩვენის** (ჟორდანიასა და მისი მთავრობის) **თანხმობით შემოვიდაო**“. (იხ. გრ. ლორთქიფანიძისა და მ. ორახელაშვილის პირდაპირი მავთულით ლაპარაკი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1921 წლის 16 მარტის ღამის 12 საათიდან 17 მარტის დილის 3 საათამდე).

გრ. ლორთქიფანიძეს არ შეიძლება არ დავუჯეროთ. ის ერთობ დიდი პერსონა იყო, როგორც პარტიაში, ისე მთავრობაში და იმავე დროს ის იყო დემოკრატიული მთავრობის რწმუნებული კომუნისტური ხელისუფლებასთან საზავო ხელშეკრულების დადების საქმეში.

მართალია, ჟორდანიამ ევროპაში გადაიფიქრა ბათომში ნაფიქრ-ნააზრები და მოინდომა გრ. ლორთქიფანიძის როგორც ამ განცხადების, ისე მის მიერ ხელ მოწერილი საზავო ხელშეკრულების გაბათილება: — ლორთქიფანიძეს ასეთი ხელშეკრულების დადების უფლება არ ჰქონდა, მის ნამოქმედარს არავითარი იურიდიული და მორალური ღირებულება არა აქვსო...

მართალიც ასეთი შინაარსის წერილი გამოუგზავნა ჟორდანიამ პარიზიდან თავის ამხანაგებს საქართველოში 1921 წელს. მაგრამ მას არავინ არ დაუჯერა. ამ წერილში წამოყენებული ბრალდება გრ. ლორთქიფანიძის სურვილით აქაურ ამხანაგებმა გაარჩიეს და დაადასტურეს, რომ გრ. ლორთქიფანიძეს სრული იურიდიული და მორალური უფლება ჰქონდა მოექმედა ის, რაც მოიმოქმედაო..

მაგრამ დავუბრუნდებით ბათომისა და მისი ოლქის წითელი არმიილების მიერ ოკუპაციის ლეგენდას.

ეს ლეგენდა ბათომში არ არსებობდა. იგი დაიბადა ევროპაში. მის ჩასახვაში და დაბადებაში მონაწილეობას იღებდნენ ერთის მხრით მეორე ინტერნაციონალის ლიდერები, მეორის მხრით—ევროპის იმპერიალისტური მთავრობების წარმომადგენლები. აი, ამ ორ ვითომ მოწინააღმდეგე ძალთა საქ. დემოკრატიულ მთავრობასთან შეუღლების ღვიძლი შვილია ბათომისა და მისი ოლქის „მოსკოვის მიერ ოკუპაცია“.

როცა ჟორდანია-რამიშვილმა დაინახეს, რომ ევროპის იმპერიალისტური მთავრობები, რომლებიც საქართველოს დემოკრატიული მთავრობის არსებობას აქ, თვით საქართველოში, ვერც კი ამჩნევდნენ, იქ, ევროპაში განსაკუთრებულის ყურადღებით ეპყრობიან, მათ მხოლოდ ახლა მოაგონდათ, რომ ბათომის ოლქში წითელი ჯარების მოწვევით შეუძლიათ მათი ახალი მწყალობლების რისხვა დაიმსახურონ, ისინი მთელ თავისი ძალღონით შეეცადნენ მოესპოთ და დავიწყებისთვის მიეცათ ყოველი ის, რაც მათ ბათომში მოიმოქმედეს.

ესე ურჩიეს მათ მეორე ინტერნაციონალის ლიდერებმა, რომლების შესახებ თვითონ ნ. ჟორდანია გვეუბნება: —„დიდი დახმარება გაგვიწიეს ჩვენში ჩამოსულმა სოციალისტური დელეგაციის წევრებმაო“ (იხ. „ნ. ჟორდანიას წერილი“, 1921 წ., 22 ივლისით დათარიღებული).

ნ. ჟორდანია ევროპაში, როგორც თვითონ გვეუბნება, „თავდაცვიდან შეტევაზე გადადის“ (იხ. იქვე).

ის აყრუებს მთელს ევროპას:

— გვიშველეთ, ვინ ხართ მამაცი! ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა მოსკოვის ოკუპაციის მსხვერპლი შეიქნა. ოკუპანტების უღელ ქვეშ მგმინავმა ხალხმა ჩვენ, თავისი დემოკრატიული მთავრობა, გამოგვგზავნა განათლებულ ევროპას გავაცნოთ ჩვენი საქმე და სამართალი ვთხოვოთო.

აი, როგორ აგვიწერს ამას თვითონ ნ. ჟორდანია:

— „თავდაცვის კამპანიიდან ჩვენ გადავედით შეტევაზე და მოვითხოვეთ ევროპის სოციალისტური მუშათა ორგანიზაციებიდან დაეგმოთ საქართველოს დაპყრობა და მოეთხოვათ რუსეთის ჯარის და მოხელეების საქართველოდან გაყვანა“ (იქვე).

აბა, ამის შემდეგ მოდით და გამოიცანით: რათი გავს ბათომელი ჟორდანია, ის ჟორდანია, რომელიც კომუნისტურ ხელისუფლებას ემუდარება: მოდი, განდევნე ბათომიდან ოსმალეთის საოკუპაციო ჯარები, დაიჭირეს მხარე და მით საქართველოს მთლიანობა დაიცავიო... რათი გავს იგი იმ ჟორდანიას, რომელიც პარიზში ყველა გზა-ჯვარედინზე გაყვირის: დაჰგმეთ საქართველოს ოკუპაცია, მოითხოვეთ რუსეთის საოკუპაციო ჯარების გაყვანაო.

ჟორდანია-რამიშვილი ევროპის სოციალისტურ მუშათა ორგანიზაციებსა და მუშებს უმალავს საქმის ნამდვილ ვითარებას. ისინი სდუმან იმის შესახებ, რომ მათ თვითონ მოიწვიეს ოსმალეთის ჯარები და საქართველოს საუკეთესო ნაწილის ოკუპაცია მოახდინეს... და როცა ოსმალეთმა თავისი ასეთი მდგომარეობით სარგებლობა მოინდომა, როცა მან სამხედრო ოკუპაციის ზონაში არ იცნო ჟორდანია-რამიშვილის სამოქალაქო მართვა-გამგეობა, ისინი იძულებული შეიქმნენ კომუნისტებისთვის დახმარება ეთხოვათ და მით საქართველოსთვის ოსმალეთის ოკუპაციით ჩამორთმეული ტერიტორია დაებრუნებიათ.

ჟორდანია-რამიშვილმა ურცხვათ მოატყუილეს ევროპის პროლეტარიატი. მაგრამ ეს კიდევ რა? ევროპის მუშათა ორგანიზაციების მოტყუილება რამიშვილის „დიპლომატიას“ როგორ გაუჭირდებოდა. მაგრამ მეტისმეტად თავხედი უნდა იყვნენ ეს ჯენტლმენტები, რომ მოტყუილებას გვიპირებენ თვითონ ჩვენ, ესე იგი იმათ, რომლებიც უშუალო მოწამენი და მონაწილენი ვიყავით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უდიდესი ტრაღედიისა.

აი, რას სწერს ნ. ჟორდანია ქართველ ამხანაგებს პარიზიდან დასახელებულ წერილში:

— „ჩვენი დადგენილება იყო, არავითარ შემთხვევაში არ ვიცნოთ რუსის ჯარების მიერ დაყენებული მთავრობა საქართველოს კანონიერ მთავრობათ. ისინი იყვნენ და არიან საქართველოს ოკუპანტები“ (იქვე).

ზემოთ ნათქვამიდან აშკარაა, რომ ჟორდანიას ეს სიტყვები გვარიან კარგი მანძილით არიან დაშორებული ჭეშმარიტებასთან. ეს რომ ასეა ამას ჩვენ დავამტკიცებთ კიდევ ერთი დოკუმენტით. ჩვენ მოგახსენებთ იმ დოკუმენტზე, რომელსაც, რამდენადაც ვიცით, ჯერჯერობით არ იცნობენ არა თუ ქართველი ხალხის ფართე მასები, არ იცნობენ თვით ს.-დ. პარტიის ყოფილი ხელმძღვანელების დიდი უმეტესობაც კი.

ეს დოკუმენტი კიდევ უფრო მეტ ნათელს ფენს ყოველ იმას, რაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ. იგი გვეუბნება, რომ ჟორდანია და მისი მთავრობა არც ისე ცუდი აზრის ბრძანებულან კომუნისტებზე, არც ისე

ცუდი განწყობილება ქონიათ მათთან ბათომში, როგორც ისინი მთელი შვიდი წლის განმავლობაში მთელ ევროპაში გაკივიან.

ვისთვის არის საჭირო, ან ვის შეუძლია იმ ისტორიული ფაქტის მიფუჩეჩება და უარყოფა, რომ კომუნისტებსა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკას შორის ომი სწარმოებდა? მაგრამ ვისთვის არის საჭირო, ან ვის შეუძლია იმ აშკარა ფაქტის უარყოფა, რომ საქართველოს რესპუბლიკის არსებობის უკანასკნელ მომენტში, თვით დემოკრატიული მთავრობის უგუნური პოლიტიკის გამო საქმე ისე მოეწყო, რომ ეს ხელისუფლება იძულებული შეიქნა კომუნისტებისთვის ეთხოვა: გვიშველეთ, იხსენით საქართველო ჩვენ მიერ მოწვეული გარეშე მტრებისაგან და მისი ტერიტორიალური და ნაციონალური მთლიანობა აღადგინეთო...

გავეცნოთ ამ ჩემ მიერ დასახელებულ დოკუმენტს.

ეს დოკუმენტი შეიცავს საქართველოს დემოკრატიული მთავრობის რწმუნებულ გრ. ლორთქიფანიძისა და საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის რწმუნებულ მამია ორახელაშვილის შორის 1921 წლის 17—18 მარტს დადებილი „შეთანხმება სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შესახებ“.

აი, ამ დოკუმენტის ზოგიერთი მუხლები:

1. სამხედრო მოქმედება დაუყონებლივ შეწყვეტილი იქმნას.

2. დემოკრატიული მთავრობა აუქმებს თავის ფრონტს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ანთავისუფლებს საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც მას უჭირავს და **ხელს უწყობს რევოლიუციონური კომიტეტის განკარგულებაში მყოფი ჯარების ბათომის ოლქში შესვლას ამ ოლქის დასაჭერად და დასაცავად გარეშე მტრების შემოსევისაგან“** (ხაზი ჩვენია).

კარგად დაუკვირდით ხაზგასმულ სტრიქონებს:

„ხელს უწყობს რევოლიუციონური კომიტეტის განკარგულებაში მყოფი ჯარების ბათომის ოლქში შემოსვლას ამ ოლქის დასაჭერად და დასაცავად გარეშე მტრების შემოსევისაგან!“.

რას ნიშნავს ეს? დემოკრატიული მთავრობა თვითონ ეხვეწება რევოლიუციონურ კომიტეტს: მოდი, გვიშველე, შენს განკარგულებაში მყოფი ჯარები ბათომის ოლქში შემოიყვანე და მით ქვეყანა გარეშე მტრებისაგან იხსენიო... ჯარების მოსაყვანათ თვითონ გზავნის მატარებლებს, ყოველ ნაირად უწყობს ხელს ბათომისა და ბათომის ოლქში ამ ჯარების შემოსვლას და გამაგრებას.. აქ, ბათომში, ჟორდანია და მისი მთავრობა ბედნიერად თვლიან თავს, რომ მათი ასეთი თხოვნა შეწყნარებული იქნა, რომ კომუნისტების წითელი ლაშქარი დაეპატრონა ბათომსა და მის ოლქს და არა ოსმალეთის ჯარები... და ყოველი ამის შემდეგ იქ, ევროპაში, ამ მათ მიერ დიდის ხვეწნა-მუდარით მოწვეულ წითელ ლაშქარს „ოკუპანტებათ“, ესე იგი ქვეყნის ძალით დამპყრობათ აცხადებენ.

კიდევ უფრო გაუგებარი იქნება მკითხველებისთვის ჟორდანიასა და მისი „მთავრობის“ ასეთი „აბრუნდი“, როცა იგი ამ ხელშეკრულების მეხუთე მუხლს გაეცნობა.

აი, ეს მუხლი:

**„რევოლიუციონური კომიტეტის ჯარები შედიან ბათომში, როგორც დემოკრატიული მთავრობისა და მისი ჯარის მეგობრული ძალა“.** (ხაზი აქაც ჩვენია).

აბა, სად გაგონილა, რომ ოკუპანტებათ მოენათლოთ ჯარები, რომელსაც თვითონ იწვევენ, რომელსაც დასახმარებლად მოსულ „მეგობრულ ძალას“ ეძახიან?

**ჟარიბი.**

# „ბრძოლის“ კალმოსანს ნ. ჭუმბურიძეს

მოქ. ნ. ჭუმბურიძე შემოტევაზე გადმოდის. „ბრძოლის“ 27—28 ნომერში ის შემდეგსა სწერს: „თავის „შკურნიკობის“ გასამართლებლად „ახალგზელბი“ ემიგრაციის შესახებ ათასგვარ ჭორებს თხზავენ. სხვათა შორის, გაიძახიან უცხოეთში რამიშვილსა და მის ამხანაგებს ტერორი აქვთ გამაფებული, ემიგრანტებს გასაქანს არ აძლევენ, თორემ ის გულში ყველა ჩვენსავით ფიქრობსო. მაგალითისათვის ხშირად მახსენებენ მეც“ და სხვა.....

პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ კიდევ ემიგრაციაში ყოფნის დროს იმავე კაჩუხაშვილმა, რომელიც იმ დროს დიდი მეგობარი იყო ნ. ჭუმბურიძისა, „ახალ საქართველოში“ დასტამბა პრაგიდან კორესპონდენცია, რომელშიაც ავტორმა სრულიად ობიექტიურად გადასცა მკითხველებს შინაარსი იმ მოხსენებისა, რომელიც მოქ. ჭუმბურიძემ გააკეთა პრაგის ქართველ ემიგრანტ სტუდენტების საზოგადო კრებაზე. ამ მოხსენებაში ნ. ჭუმბურიძე ნ. ჟორდანიას მთავრობას აცხადებს ავანტიურისტთა ჯგუფად, ისეთ ჯგუფად, რომელიც სისტემატიურად უწყობს ქართველ ერს პროვოკაციას. ჭუმბურიძე მოუწოდებს ქართველ ემიგრანტებს საერთოთ და კერძოდ კი პრაგის ემიგრანტ სტუდენტებს თავი დაალწიონ ამ ავანტიურისტებს, დაბრუნდენ საქართველოში და იქ ჩაებან სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეში.

იმ დროს, როდესაც მოქ. ჭუმბურიძე ამ მოხსენების წაკითხვას აპირებდა ქ. პრაღაში, მე კიდევ, პრაღის მენშევიკური ფრაქციის წევრი ვიყავი და იმავე დროს ვიყავი ეგრედწოდებული ქართველ პოლიტიკურ ემიგრაციის კოლონიის თავმჯდომარე პრაღაში.

როცა გავიგე, რომ მოქ. ჭუმბურიძე ანტიმენშევიკური მოხსენებით გამოდის, მე იგი ვინახულე, როგორც კოლონიის პოლიტიკურ ორგანოს თავმჯდომარემ და ვსთხოვე მას ასეთი გამოსვლა არ გაეკეთებია. ჩემს თხოვნას, რომ ის არ გამოსულიყო თავის მოხსენებით, მე ვადასტურებდი შემდეგი მოსაზრებით: ჩვენ, მენშევიკებმა ჯერ პარტიაში უნდა ამოვსწუროთ ყოველივე დავა ნ. რამიშვილთან და მის ავანტიურასთან. უნდა ვეცადოთ პარტიის ხაზით ვაგებიოთ პასუხი რამიშვილს და მის ჯგუფს, ვეცადოთ, აქ საზღვარგარეთ, და იქ, საქართველოში მენშევიკურ პარტიას ჩამოვაშოროთ ავანტიურისტი ხელმძღვანელები, და თუ ეს ჩვენი ცდა პარტიის შიგნით ვერ გაიმარჯვებს, მაშინ და მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვეკვეთოთ მათ და გავაჩაღოთ მათ წინააღმდეგ ბრძოლა მეთქი.

უნდა მოგახსენოთ, რომ იმ დროს პრაღაში მეც ოპოზიციაში გახლდით. ჩემთან იყვენ სხვა ამხანაგებიც და პრაღის სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციაში სისტემატიურად გამოვდიოდით ნ. ჟორდანიას მთავრობის წინააღმდეგ და დაბეჯითებით მოვითხოვდით პასუხს იმ ტრაღედიის გამო, რომელიც ჟორდანია-რამიშვილმა და მათმა აგენტებმა გაითამაშეს 1924 აგვისტოში. ამიტომ იყო, რომ ვსთხოვდი მოქ. ჭუმბურიძეს შეეჩერებია თავისი მოხსენება.

ნ. ჭუმბურიძემ უარით გამომისტუმრა. მან სიტყვასიტყვით განმიცხადა შემდეგი: „არავითარი პარტია, არავითარი ორგანიზაცია ეხლა აღარ არსებობს, და ამიტომ მე მოვალეთ მიმაჩნია ჩემი თავი, აქ, მაინც საჯაროთ ვსთქვა ჩემი შეხედულება და ამ ავანტიურისტებს ომი გამოუცხადოვო“...

ამით გათავდა ჩემი მასთან მოლაპარაკება, ჭუმბურიძემ წაიკითხა თავისი მოხსენება. ამ მოხსენებას დაესწრო ყველა ქართველი ემიგრანტი სტუდენტობა. არ დასწრებია მხოლოდ პრაღის სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია. პრაღის სოციალ-დემოკრატები განზრახ არ დაესწრენ ჭუმბურიძის მოხსენებას, როგორც ანტიმენშევიკურ საჯარო გამოსვლას და ბოიკოტი გამოუცხადეს მას. მაგრამ იმავე ფრაქციამ ჭუმბურიძის მოხსენებაზე გამოგზავნა თავისი წარმომადგენელი, რომელსაც

დავალებული ჰქონდა, როგორც ამ მოხსენების შინაარსის შესწავლა, ისე შესწავლა იმისა, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა იგი აუდიტორიაზე. ალბად, ძალიან არ მოეწონა პრაღის ს.-დ. ორგანიზაციას მოქ. ჭუმბურიძის მოხსენება და ამიტომ შესაფერი დადგენილებაც გამოიტანა მან მომხსენებლის წინააღმდეგ, რაც კიდეც აცნობა პარიზში მენშევიკურ ცენტრალურ ბიუროს.

როგორც მოგახსენეთ, ივ. კაჩუხაშვილმა ამ მოხსენების შესახებ ამომწურავი ცნობა დაბეჭდა პარიზის „ახალ საქართველოში“ (წერილი დაბეჭდილია თუ მეხსიერება არ მღალატობს 1925 წლის სექტემბერში). ამ წერილის დასტამბის შემდეგ გავიდა ორ წელზე მეტი, მაგრამ ამ დროის განმავლობაში მის წინააღმდეგ მოქ. ჭუმბურიძე სდუმს. მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს „ბრძოლამ“ საჭიროდ დაინახა გამოეცხადებია, რომ ივ. კაჩუხაშვილის წერილი ამხ. ჭუმბურიძის შესახებ სიმართლეს მოკლებულიაო...

რაშია საქმე? რატომ ორ წელიწადს სდუმდა „ბრძოლა“?.

საქმე იმაშია, რომ ასეთი დიდი დრო მოქ. ჭუმბურიძეს ცოდვების მონანიების დროდ ჰქონდა მიცემული, ამ ორი წლის განმავლობაში მან მართლაც მოინანია ცოდვები და ნ. რამიშვილისაგან აღდგენილი იქნა თავის ძველ ღირსებაზე, ესე იგი ნ. რამიშვილის ყურმოჭრილ მონად გადაიქცა. ჩვენც გზა დაგვილოცია მოქ. ჭუმბურიძისათვის. დაგვილოცია ჟორდანია-რამიშვილისათვის ასეთი „ამხანაგი“... მაგრამ ვისთვის, რომელი პრაღელ ქართველისათვის არის საიდუმლო, რომ ნ. ჭუმბურიძე პრაღაში ი. კაჩუხაშვილთან ერთად ეწეოდა სასტიკ ბრძოლას ს.-დ. პარტიის წინააღმდეგ. ვისთვის, რომელი პრაღელი ქართველისათვის არის საიდუმლო, რომ ნ. ჭუმბურიძემ ივანე კაჩუხაშვილთან ერთად არჩევნებზე დაამარცხა პრაღის ს.-დ. ფრაქცია?

მოქ. ჭუმბურიძე ჩვენ „მკურნიკებს“ და ლაჩრებს გვიწოდებს. რა გაეწყობა, ქაღალდი ყველაფერს აიტანს, მოქ. ჭუმბურიძეს სრული უფლება აქვს დღეს ს.-დ. ერთგულ რაინდათ გაასაღოს თავი, მაგრამ ჩვენ მის წარსულზე მოგახსენებთ და ნურას უკაცრავად, თუ ჩვენ ამ შემთხვევაში მისი დღევანდელი განცხადებით არ დავკმაყოფილდეთ და მკითხველს ცოტა რამე კიდევ მოვუთხროთ მოქ. ჭუმბურიძის საგმირო საქმეებიდან.

1921 წლის მარტის თვეში მოქ. ჭუმბურიძემ არ მოისურვა ჟორდანია-რამიშვილთან ერთად საზღვარგარეთ გაქცევა. მან სამშობლოში დარჩენა მოისურვა, რა თქმა უნდა, ბოლშევიკებთან ბრძოლის მიზნით. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ იგივე გმირი რევოლიუციონური მებრძოლი ჭუმბურიძე იპარება საზღვარგარეთ. ჩვენ ლაჩრები და „მკურნიკები“ ვრჩებით აქ, საქართველოში და ვაწარმოებთ არალეგალურ მუშაობას ს. ს.-დ. პარტიის რიგებში... და მხოლოდ დატუსაღებულებს გვასახლებს საბჭოთა ხელისუფლება საზღვარგარეთ.

ეხლა მკითხველმა თვითონ გასინჯოს: ვინ არის ჩვენ შორის ლაჩარი და „მკურნიკი“. ჩვენ ძალით გადასახლებული, თუ მოქ. ჭუმბურიძე, სამშობლოდან გაპარული და თავის ნებით გაემიგრანტებული. მოქ. ჭუმბურიძე კატეგორიულად აცხადებს: ემიგრაციაში არავითარ ტერორს. ძალდატანებას და სხვა ასეთებს ადგილი არა აქვს, ეს ხელაძისა და მისი კომპანიების მიერ მოჩმახული ზღაპარიაო.

საბრალო ჭუმბურიძე, ის თუთიყუშივით იმეორებს ნ. რამიშვილის მიერ ნაკარნახევს.... არის თუ არა ტერორი, როცა სტუდენტი ყანდარელს მენშევიკის აგენტი ცინცაძაძე პარიზში სასიკვდილოთ სჭრის მხოლოდ იმიტომ. რომ ყანდარელი ქართველ სტუდენტებში იცავდა საქართველოს საბჭოთა ხელიუფლებას.

ან შეიძლება ყანდარელის მკვლელი მენშევიკების აგენტი არ იყო? მაგრამ ამაში ეჭვის შეტანაც კი პირდაპირ სასაცილო იქნებოდა. აბა რატომ იცავდა ყანდარელის მკვლელს მენშევიკური „მთავრობის“ მიერ დაქირავებული ფრანგი ვექილი? რად გამოდიოდენ მის დამცველებათ, მოწმეებათ და ჭირისუფლებათ საფრანგეთის ბურჟუაზიის იუსტიციის წინაშე მენშევიკების უდიდესი ბელადები: ირ. წერეთელი, რენოდელი და სხვები, რომლებიც ქვეყანას უმტკიცებდენ: მკვლელი ცინცაბაძე უდანაშაულოა. მან ვერ აიტანა სამშობლოს ბოლშევიკების მიერ აწიოკება და ქართველი ხალხის მტრების აგენტი მოკლაო?

რა არის, თუ არა ტერორი, როცა მერაბიშვილს რევოლვერით აკვლევინებენ გრ. ვეშაპელს?

რა არის, თუ არა ტერორი, როცა ქართველ ემიგრანტ მუშებს ალიხანაშვილს, გ. სულაქველიძეს, დიმიტრაშვილს და მრავალ სხვებს თავს ესხმიან მენშევიკური პარტიის წევრები: ლორდელი, ბოლქვაძე, სალია და სხვები და ფიზიკურ შეურაცყოფას აყენებენ?

დიახ, მოქ. ჭუმბურიძე, ყოველივე ამას ყოველ ენაზე ეწოდება ტერორი და ჩვენც მხოლოდ ამაზე მოგახსენებთ.

როგორც ზემოთ ვსთქვით, მოქ. ჭუმბურიძე თავისი ნებით წაბრძანდა ემიგრაციაში. იგი საქართველოში ყოფნის დროს არ ბრძანდებოდა მაინც და მაინც ბრძოლის გუნებაზე, მაგრამ სტამბოლში ჩასვლისთანავე ის მებრძოლის პოზას იღებს და ნოე რამიშვილის მარჯვენა ხელი ხდება. ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვსთქვათ, რომ ჭუმბურიძის მოხსენების თანახმად, რომელიც მან გააკეთა სტამბოლში 1921 წლის მიწურულში—ე. წ. „პოლიტიკურ კომისიაში“ სოციალ-დემოკრატიამ დროულად იცნო აჯანყების საკითხი საქართველოში და მის სამზადისს შეუდგა. ასე და ამგვარად „გულადი“ ჭუმბურიძე, აქ, საქართველოში ბრძოლის ასპარეზს ქურდულად სტოვებს. იქ, სამშვიდობოს გასული კი ავანტიურის მორევში ყრის როგორც თავის ამხანაგებს, ისე მთელ ქართველ ერს. მაგრამ ჭუმბურიძეს რა ენაღვლებოდა. მან ასეთი გმირული პოზისათვის კარგი კომპენსაცია მიიღო ნ. რამიშვილისაგან, რომელმაც მას თვიურად ორასი ლირა, ესე იგი ორასი ოქროს მანეთი დაუნიშნა. და ეს მაშინ, როცა ემიგრაციის წევრების უმეტესობა, ასე წარმოიდგინეთ ს.-დ. პარტიის ზოგიერთი ჭუმბურიძეზე უფრო თვალსაჩინო წევრიც კი თვიურად 5—10 და არა უმეტეს 20 ლირასა იღებდა. და ასეთი ვაჟბატონები სხვაზე ბედავს ლაპარაკს?

მაგრამ მოქ. ჭუმბურიძე ამითაც არ დაკმაყოფილდა. ეტყობა ორასი ოქროს მანეთი მას კიდევ ეცოტავა და ამიტომ იყო. რომ სწორეთ ამ დროს ის ცდილობს დაუახლოვდეს სტამბოლში ჩასულ კომუნისტებს, ცდილობს გასდოს ხიდი კომუნისტურ პარტიასთან შესაერთებლად და გადაცოცდეს საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე...

ამიტომ იყო, რომ მოქ. ჭუმბურიძე სტამბოლში ჩასულ ქართველ კომუნისტებს ეფიცებოდა, რომ ის, ჭუმბურიძე, არავითარ შემთხვევაში არ იზიარებს მენშევიკების ლიდერების გეგმებს, რომ ის წინააღმდეგია აჯანყებისა და ინტერვენციისა. რომ იგი, ჭუმბურიძე წავიდა ემიგრაციაში, რომ თავისი ამხანაგები დაერწმუნებია ბრძოლის უმიზნობაში და შეერიგებია ისინი კომუნისტებისთვის, რომ თუ არა იგი, ნ. ჭუმბურიძე, ჟორდანია და რამიშვილი ათასგვარ სახიფათო ნაბიჯებს გადადგამდენ კომუნისტების წინააღმდეგ და სხვადასხვა....

ასე და ამგვარად, მოქ. ჭუმბურიძე „პოლიტიკურ კომისიაში“ ნ. რამიშვილის კუდია. ის ბრძოლასა და სისხლის ღვრას ქადაგებს, მოსკოვის „ოკუპანტებს“ წარღვნით ემუქრება და იმავე დროს ქართველ კომუნისტებს ეარშიყება და ერთგულობას ეფიცება.

სწორედ არშიყობასა და შეფიცვის შედეგი იყო ის, რომ ქუთაისის წითელარმიელთა გაზეთში დაიბეჭდა ასეთი ცნობა: „ჩვენ სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ მენშევიკ ემიგრანტების ავანტიურისტულ პოლიტიკას აჯანყების და ინტერვენციის შესახებ, არ იზიარებს ცნობილი მენშევიკი ნ. ჭუმბურიძეო“...

ამ გაზეთის ნომერი მივიღეთ ჩვენ პრაღაში. ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ჭუმბურიძის წინააღმ-

დევ პრაღაში მცხოვრებ ქართველებს შორის. მოსთხოვეს მას ამ ცნობის გაქარწყლება. მაგრამ მან ეს არ მოისურვა.

ეს იყო 1922 წლის მიწურულში. ამ დროს ჭუმბურიძე ოპოზიციონერობდა. ეგრედწოდებულ სტამბოლის „პოლიტიკურ კომისიას“ ლიკვიდაცია უყვეს. მის მაგივრად პარიზში დაარსდა „პარიტეტული კომისია ნ. რამიშვილის მეთაურობით და ამ პარიტეტმა დაიწყო მოღვაწეობა საქართველოს „გასაბედნიერებლად“. მაგრამ იმ დროს, როცა სტამბოლის პოლიტიკური კომისიის წევრები: ვ. ჯუღელი, მ. არსენიძე, დ. შარაშიძე და სხვები ნ. ჟორდანიამ პარიზში გაიწვია და იქ „პარიტეტში„ მუშაობა შესთავაზა. ნ. ჭუმბურიძე იქ მიწვეული არ იქნა... მას წინადადებას აძლევენ გაემგზავროს საქართველოში არალეგალურ მუშაობის ხელმძღვანელად. ნ. ჭუმბურიძე უარს ამბობს და ამ უარს იმით ასაბუთებს, რომ იგი არ იზიარებს ხელმძღვანელ ცენტრალურ ბიუროს ტაქტიკას და გეგმებს...

აქედან მკითხველი ხედავს, რომ მოქ. ჭუმბურიძე, როცა ის პოლიტიკურ კომისიის წევრია, მომხრეა მებრძოლი მენშევიზმის დაკვრითი პოლიტიკისა.

რა კი ჭუმბურიძემ საქართველოში წამოსვლაზე უარი განაცხადა, ის აითვალისწინა ნ. რამიშვილმა და პრაღაში გადმოისროლა. ამის შემდეგ მას მოუსპეს მთავრობის პენსია, რასაც შედეგად ჭუმბურიძის ჩეხიაში გამგზავრება მოყვა... აქ ჭუმბურიძე თანდათან ოპოზიციონერი ხდება. ის, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სხვა ოპოზიციონერ მენშევიკებთან ერთად თავს ესხმის დაშლის მენშევიკების ორგანიზაციას პრაღაში და ბოლოს გამოდის სტუდენტების კრებაზე მისი ცნობილი მოხსენებით...

მოქ. ჭუმბურიძე ყოველ ამას უარს ყოფს და ჩვენ ლანძღვა-გინებით გვამკობს. ის ბრძანებს: „რაც შეეხება ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნებას, მე არასოდეს არ მითქვამს არსენიძე-ჭუმბურიძე უნდა დაბრუნდესო“.

ჭუმბურიძემ თავის მოხსენებაში აშკარად განაცხადა: „ყველა ქართველი ემიგრანტი უნდა დაბრუნდეს საქართველოში და უნდა იმუშაოს იქ საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოთო“... გარდა ამისა, თვით ის კრება, რომელზეც ის მოხსენებით გამოვიდა, არ იყო რასაკვირველია, უბრალო ქართველ სტუდენტთა აკადემიური ჯგუფი, არამედ შესდგებოდა ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტებისაგან: მენშევიკები, ესერები, ფედერალისტები და ნაციონალ-დემოკრატებისაგან. ამ კრებაზე იყვენ ლ. ემუხვარი, ი. ჯანჯღავა, მაღნარაძე და სხვები. ამით მე იმის თქმა მინდა, რომ ჭუმბურიძის განცხადება თითქოს მან მხოლოდ სტუდენტებს ურჩია სამშობლოში დაბრუნება კუდ მოკლე ტყუილი გახლავთ და მეტი არაფერი.

ეხლა კითხვა იმის: ყოველი ამის შემდეგ რა ადგილი უნდა ქონდეს მოქ. ჭუმბურიძეს თუნდაც ყველაფრის ამტან, ყველა ლაჩართა სავანე ს.-დ. პარტიაში?

ჩვენ გვგონია, რომ არც ერთი სერიოზულ-პოლიტიკური პარტია თავის წევრთა შორის არ გააჩერებს ასეთ ადამიანს, როგორიც ბრძანდება ნ. ჭუმბურიძე, რომელიც ორმაგ პოლიტიკურ ბუხგალტერიას აწარმოებს...

მაგრამ „საზღვარგარეთელი ბიუროს“ უბედურებაც ის არის, რომ მას წევრი არ გააჩნია და თავისი სიცელიერის შესავსებად იძულებულია ნ. ჭუმბურიძეც თავის რიგებში იყოლიოს. თუმცა ნ. რამიშვილმა კარგად იცის ფასი და ღირებულება მოქ. ჭუმბურიძის, როგორც პოლიტიკური მოღვაწისა.

**ალ. ხელაძე.**

# ახალი წლისათვის

წარსული წლის ნეკროლოგს არ ვწერ და არც მომავალ წელს მინდა ავანსად ხოტბა შევასხა.

ერთი წავიდა, მეორე მოდის ასე ყოფილა, ასე იქნება. ახალ წელს ბედნიერებითო—ასეა მიღებული, რა გვიხარია? სუბიექტიურად აქ, რა თქმა უნდა სასიხარულო ბევრი არაფერია. ერთი წლით წინ სიბერისაკენ, სიკვდილისაკენ—განა ეს ასე სასიხარულოა?!. მაგრამ ხომ შეიძლებოდა ადრე დავბერებულიყავით, ადრე მოვკვდარიყავით? დიახ, შეიძლებოდა და აი სწორედ აქ მჟღავნდება საბრალო მინიმალისტის პაწია სული....

შეიძლება ახალმა წელმა მოგვიტანოს ახალი ბედნიერება, რომელსაც წარსულში ვერ მივაღწიეთ? შეიძლება იქნებ ახალმა წელმა მოგვიტანოს ჩვენი საზოგადოებრივი იდეალის ახალი რეალიზაცია, მისი ნაწილობრივი თუ სრული განსახიერება. ჩვენ ეს გვინდა. ეს შესაძლებელია. სწორედ ამაშია გამართლება იმ სიხარულის, რომელსაც ახალი წელიწადი იწვევს.

ჩვენ საერთოდ გვეადვილება ჭკუის დარიგება, განსაკუთრებით საახალწლოდ; ეს ალბად იმიტომ, რომ იმის დარიგება, რაც არა გვაქვს, მეტად ადვილია. ვნახოთ, რას შეგვთავაზებს ახალი წელიწადი!

1927 წელი ბევრ რამით მნიშვნელოვანი იყო.

1927 წელს მოხდა საბოლოო გარდატეხა ჩვენს ინტელიგენციაში. ის გამოვიდა ანაბიოტური მდგომარეობიდან და საჯარო გამოსვლებით თუ ცალკე რეზოლიუციებით ამცნო ქვეყანას თავისი კატეგორიული გარდაწყვეტილება საბჭოთა ხელისუფლებასთან მჭიდრო კანტაქტისა და ხელი-ხელ ჩაკიდებული თანამშრომლობის შესახებ.

უპასუხისმგებლო, დემაგოგიურ და ავანტიურისტულ პოლიტიკას, რომელსაც ასე გულმოდგინედ უნერგავდა ჩვენს ერს ემიგრაცია, საბოლოოდ ნიადაგი გამოეცალა. თუ კიდევ სადმე იყო მისი თითო ოროლა წარმომადგენელი—მანაც საეჭვო უმანკოებას გაბედული ნაბიჯი არჩია, საჯაროდ გამოვიდა და თავისი მრწამსი საქვეყნოდ აღიარა.

ეს უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი დაადასტურა ემიგრანტულმა პრესამ და აქით საკუთარ განაჩენს თვითონვე ხელი მოაწერა.

რეალურმა სინამდვილემ ქართველი ინტელიგენცია დაარწმუნა იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლებასთან ხუმრობა და თამაში არ გადის. დევიზი: „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენს წინააღმდეგ არისო“, დაისვა არა განყენებულად, არამედ ფრიად რეალურად და მთელი თავისი კატეგორიულობით.

ბრძოლისა და თანამშრომლობის შაბლონური მეთოდები ცხოვრებამ უარჰყო მწარე გამოცდილებით, გულის ტკივილით და საბედისწერო წაბორძიკების შემდეგ ქართველი ინტელიგენცია დარწმუნდა, რომ ის თავს ზევით ვერ ახტება, რომ ძველი გზები მოჭრილია.

მან არჩია ახალი გზა, ახალი ფორმები, ძველი საქმის—მშრომელი ხალხისა და სამშობლოს სამსახურის—განსაკეთებლად, ეს გზა მან მრავალჯერ გაზომა და მხოლოდ შემდეგ გადასჭრა, საბოლოოდ მას დაადგა. ამ გზიდან მას ვერ გადააცდენს ვერავითარი პროვაკაცია, ცილისწამება და ცხოვრების სხვა უკუღმართობა.

საქართველო № 2,—იგივე ემიგრაცია განაგრძობდა ბრძოლას სხვადასხვა გზით, სხვადასხვა ფორმებში.

რა სურს მას? უეჭველად შინ დაბრუნება, მეორედ მოსვლა მაგრამ დაბრუნება არა უბალო, პერსონალური. მას სურს დაბრუნება ზეიმით, დიდებით მთელი თავისი დემოკრატიული და ეროვნული ბარგით. მარა ცხადია, ის რევოლიუციას ვერ მოახდენს, ხალხს ის ტყუილად უჩიჩინებს. საქმეზე გულს უცრუებს, პროვაკაციას ტყუილად ეწევა.

ვილაცამ უნდა მოახდინოს რევოლიუცია, ვილაცამ უნდა ჩამოაგდოს საბჭოთა ხელისუფლება და მხოლოდ შემდეგ გამოჩნდება ემიგრაცია, ისე, როგორც ყოველი ემიგრაცია. ხაშ, მისი დღევანდელი ფაფხური, ცხადია,

არის მხოლოდ კრილოვის გმირის ანდერძის რეალიზაცია „ჩვენც ვზნავდითო“ და მეტი არაფერი....

1905 წლის რევოლიუციამ ჩვენში შექმნა პროპაგანდისტის საავისებური ტიპი, ყვირილდან ის ულტიმატუმს უგზავნის ბათომის ციხის კომენდანტს, ნასაკირალიდან პეტროგრადის მთავრობას ყუმბარებს უშენდა.

თვით მარქსი რომ ამდგარიყო მასაც კამათში წარბ შეუხრელად შეებმებოდა. ის ყველაფერს ამარტივებდა, თავის თავი ყოვლის შემძლეთ და ყველაფრის მცოდნეთ მიაჩნდა.

1905 წლის პროპაგანდისტის ამ უკვდავი ტიპის განსახიერება გახლავთ მეომარი მენშევიზმის შეფი ნ. რამიშვილი. 1906—17 წ. საშინელმა რეაქციამ, უსაშინელესმა იმპერიალისტურმა ომმა და ორმა რევოლიუციამ მას ვერაფერი ასწავლა.

1905 წლის პროპაგანდისტი პროპაგანდისტად დარჩა და დღეს ელენეს კუნძულიდან ნაპოლეონის პოზაში საბჭოთა ხელისუფლებას ფიშტოს უმიზნებს. ეს დაუდგრომელი ადამიანი ცქმუტავს, გმირობას ჩემულობს და, როგორც გმირს შეფერის, როცა მოესურვება, საბჭოთა წესწყობილებას „ძვრას უზამს“, რა თქმა უნდა!

ეს ხალხი ქართველ ერს ურჩევს წყალზე ფეხით გაჩურებას, თვითონ კი „მაგრად“ სდგას სხვის მიწაზე!

რა მოელის ემიგრაციას ახლო წლებში? უეჭველად ახალი რღვევა. ყინული დღეს თუ ხვალ დაიძვრის. ემიგრაციის დიდი ნაწილი, სამშობლოში წამოვა, ხოლო მისი ზედა ფენა ან სრულებით ცხოვრებიდან გაირიყება, ან იძულებული შეიქნება „იდეურ“ საქმიან კრიტიკაზე გადავიდეს და თავის მოღვაწეობა ამით შემოფარგლოს...

ეკონომიურ ფრონტზე ჩვენ გვქონდა უეჭველი, არა მითიური, არამედ რეალური და ფრიად ხელშესახები მიღწევები, პროგრესის უეჭველი ნიშნები.

ევროპის პოლიტიკური ობსერვატორია 1927 წელსაც დამარცხდა, როგორც ყოველთვის ამ ათი წლის განმავლობაში. საკუთარი ტაფაში მოხრაკვა, უეჭველი რღვევა და დაცემა ეკონომიურ სფეროში, რომლებსაც ბურჟუაზიული პრესა გვიწინასწარმეტყველებდა, არ გამართლდა.

ზაჰესი და მრავალი ფაბრიკა ქარხანა, რომელიც მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ფაქტია, მაინც „მოძრაობს“ და ვითარდება — უნდა ვიფიქროთ, 1928 წლისათვის ბევრს დაუკარგავს მადას ლექოს ძველი ზღაპრები ჩვენი ეკონომიური დაცემისა და აუცილებელი კატასტროფის შესახებ.

რუსთაველის პროსპექტსა და ქუთაისის ბულვარს ყოველთვის ჯადოსნური ძალა ჰქონდა. აქ იწრთვნებოდენ მსოფლიო პოლიტიკოსები, უბადლო პოეტები და სახელგანთქმული არტისტ - რეჟისორები. იგივე გრძელდება დღესაც. ყოველ ჩვენგანს შუბლზე აწერია: „მირბის მიმაფრენს უგზო უკვლოთ ჩემი მერანი“. დიახ, ყველა სადღაც გარბის, დამჯდარს არავის ნახავთ. ამიტომ არაფერი საფუძვლიანი და მტკიცე არ გამოგვივიდის. რაც უნდა დიდი საქმე დავიწყოთ, ბოლოს მაინც „მეგრული ფაცხა“ გამოდის. შეიძლება იგი ძლიერ „გვიყვარდეს“, მაგრამ ქარმა ერთი კარგად რომ დაუბეროს — მისგან არაფერი დარჩება!

——— ——— ———

როგორც ლამაზ ქალს არ შეუძლია სარკეს გაუაროს და შიგ არ ჩაიხედოს — ისე ქართველ კაცს არ შეუძლია ლექსი არ დასწეროს, თუ კი ანბანი ისწავლა. ჩვენ არ შეგვიძლია ინტრიგა არ გავსწიოთ. ჩხირ - კედელაობა არ გავმართოთ. ორი ნიჭიერი ქართველი ეთრად ვერ იმუშავებს, ერთს ორგანიზაციაში ვერ თავსდება. რატომ? ჩვენი ქვეყანა დიდი ისტორიული შარა - გზა იყო. აქ ხდებოდა უდიდესი შეტაკებანი, ომი და ბრძოლა სამკვდრო სასიცოცხლო, დამონება და გამარჯვება ერთმანეთს სცვლიდა. ამ გაწამაწიაში და შფოთში სისხლი აერია. ალაჰმა უწყის ვისი სისხლი სჩქეფს იმათში, ვინც დღეს თავის თავსქართველს უწოდებს. ჩვენი ინტერესებისა და გაუტანლობის სახით, ალბათ იბრძვიან ისტორიული მტრები და დაუნდობელი მეომარნი..

რა აკლია ჩვენს მრეწველობას, პოეზია, ხელოვნებას? კულტურა, გაქანება, ჯანსაღი მორალური ატმოსფერა. ბეჯითი შრომა, სწავლება, წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია — აი რა არის საჭირო უპირველეს ყოვლისა...

რა აკლია ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებას? — მოქალქე თავისუფლებათა, მოვალეობათა და ქვეყნისა და თავის მდგომარეობისშეგნებით, მოქალაქე აქტიური, წინ მიმავალი.

მოქალაქის ყოველმხრივი ზრდა და ქვეყნის ავლადიდებისმოვლა - პატრონობა განვითარება—აი ჩვენი „ნაკაზი“ 1928 წელს.

კერძოდ ჩემთვის საკუთრად მაქვს რამდენიმე „დავალება“, რომელიც ამ 1928 წელს აუცილებლად უნდა გავატარო:

1) არ დაველაპარაკები არავის ტელეფონით, ვინაიდან ვიდრე „შემაერთებდენ“ იმდენი დრო გავა, რომ ამ დროს განმავლობაში მე არხეინად შემიძლია სასურველ ადგილს ფეხით წავიდე და კიდეც უკან დავბრუნდე.

2) არ დავწერ წიგნს, ვინაიდან ვიცი, რომ რა გინდ კარგი წიგნი არ უნდა დავწერო, რეცეხზენტი მაინც მაგინებს და წიგნს დაიწუნებს.

3) არც ერთ გაზეთს არ გამოვიწერ — ვინაიდან ვიცი თავის დროზე მაინც არ მომივა.

4) არც ერთ კრებას არ დავესწრები — ვიცი ქვორუმი არ შედგება, ტყვილად დრო დამეკარგება.

5) ფულს არავის ვასესხებ ერთი რომ არა მაქვს და მეორედ კიდევაც რომ მექნეს, მაინც არავის ვასესხებ, ვინაიდან ვიცი ფულიც დამეკარგება და მეგობარიც. განა ის არ სჯობია, რომ არც ფული დავკარგო და არც მეგობარი?

6) წიგნს არავის ვათხოვებ, სულ ერთია უკან არავინ დამიბრუნებს.

7) სახლში არავის შემოუშვებ, ვინაიდან ვიცი: უეჭველად ოთახს წამართმევს, თუ მეტი ვერაფერი იპოვა..

8) ახალწლისათვის ადამიანმა ბევრი რამ შეიძლება დაივიწყოს, მაგრამ ტოლუმბაშის დავიწყება ხომ შეუძლებელია. უნდა მოგახსენოთ გულახდილად, ტოლუმბაში და მისი შეზარხოშებული ამალა ფრიად მომაბეზრებელი ამბავია. ჯერ მრავალი ფხიზელის სიტყვა და აზრი რა არის რომ მთვრალის სიტყვაში რაიმე შინაარსი იყოს. რამდენი სიყალბე უნდა ილაყბოს, რამდენი თვალთმაქცობა უნდა ჩაიდინოს ტოლუმბაშმა, რომ თავის მრევლს ასიამოვნოს!.. დიდი მოთმენა უნდა რომ ტოლუმბაშის არეული „რომელიც რომა“ და სხვა მარგალიტები ბოლომდე მოისმინოს.

ჩემის აზრით ამ ინსტიტუტის გაუქმება აუცილებლად საჭიროა, მაგრამ ვინაიდან ტოლუმბაში როგორც „ძველ ადათ წესთა“ ერთ - ერთი მაგარი ეგზემპლიარი არის, თანაც უშუალო დემოკრატიის ნაშტი — ამიტომ ტოლუმბაშს 1928 წლისათვის უნდა გამოეცხადოს უკანასკნელი გაფრთხილება...

ლეო შენგელაია.

# ინგლისის იმპერიალიზმი და კოლონიალური ერები

მსოფლიო ომიდან ინგლისის იმპერიალიზმი გამარჯვებული გამოვიდა. ვერსალის ზავის პირობებით უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო იმპერიალისტების ბატონობა კოლონიალურ ქვეყნებში. ერთა ლიგაც ხომ მათი ბატონობის განსამტკიცებლად არის შექმნილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მსოფლიო ომის შემდეგ თანდათან ნიადაგი ეცლება კოლონიებში მათ განუსაზღვრელ ბატონობას. კოლონიალური ქვეყნები კარგა ხანია შესდგენ დამოუკიდებლობისა და ადამიანური უფლებების მოპოების ბრძოლის გზაზე და თუმცა ნელის ნაბიჯით, მაგრამ მაინც მტკიცედ მიიწევენ წინ საბოლოო გამარჯვებისაკენ.

უმთავრეს ფაქტორს ამ მოძრაობის გაძლიერებისას აუცილებლად წარმოადგენს საბჭოთა კავშირის არსებობა, სადაც ყოველ ერს, რაგინდ პატარა არ უნდა იყოს ის რიცხვობრივად და უაღრესად ჩამორჩენილი კულტურულად, საკავშირო კონსტიტუციის ძალით მინიჭებული აქვს უფლება საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვისათვის, რაც გამოიხატება დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკებისა და ავტონომიურ ოლქების შექმნაში, რომელნიც შემდეგში თავისი სურვილის თანახმად უკავშირდებიან ფედერატიულად მოძმე რესპუბლიკებს.

საბჭოთა ხელისუფლების ასეთ ნაციონალურ პოლიტიკას, შეუძლებელი იყო თავისი დაღი არ დაემჩნია აღმოსავლეთის ჩაგრულ ერების განმათავისუფელებლ ბრძოლაზე და მართლაც საბჭოთა კავშირის არსებობის ათი წლის თავზე ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ერების ერთმა ნაწილმა დიდი ბრძოლის შემდეგ უკვე მიაღწია თავის მიზანს და მოიპოვა დამოუკიდებლობა, დანარჩენები კი განაგრძობენ ბრძოლას ამ მიმართულებით.

მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ოსმალეთი. ცნობილია, რომ ინგლისის იმპერიალიზმი დიდ ხანს ცდილობდა ოსმალეთის თავის კოლონიად გადაქცევას. სულთანის ბატონობის დროს ოსმალეთი ფაქტიურად ნახევრად კოლონიალურ ქვეყანას წარმოადგენდა, მას სამართლიანად უწოდებდენ „ავადმყოფ ადამიანს“. მსოფლიო ომის დროს ინგლის-საფრანგეთი შეთანხმებით გამოდიოდა რუს. თვითმპყრობელობასთან ერთად ოსმალეთის დანაწილებისათვის, რომლის თანახმად სტამბოლი რუსეთის ხელში უნდა გადასულიყო აღმოსავლეთ ოსმალეთის სხვა ვილაიეტებთან ერთად.

რუსეთში მომხდარმა რევოლიუციამ იმპერიალისტების ჯეგმებს ფრთა შეაკვეცა და მართალია, ოსმალეთი მსოფლიო ომიდან დამარცხებული გამოვიდა და მას დიდი ძალი ტერიტორია ჩამოაცალეს, მაგრამ სულთანის ტახტის დანგრევის შემდეგ დამოუკიდებელი ოსმალეთისათვის მებრძოლმა ხელმძღვანელებმა გამაგრდენ ანგორაში და განაგრძეს ბრძოლა დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის.

ინგლისის იმპერიალისტებმა ოსმალეთს საბერძნეთის ჯარები შეუსიეს და ამით სურდათ წინათ დასახულ გეგმის განხორციელება, მაგრამ ოსმალეთმა შესძლო მათი დამარცხება. და საბოლოოდ უზრუნველყო მისი დამოუკიდებელი არსებობა.

საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა მორალური თანაგრძნობა ამ ბრძოლაში, რამდენადაც ის ეხებოდა იმპერიალიზმის ფრთების შეკვეცას, ოსმალეთის მხარეზე იყო და ამან უსათუოდ დიდი როლი ითამაშა ამ უკანასკნელის გამარჯვებაზე. შემდგომი მეგობრული ურთიერთობაც საბჭოთა კავშირსა და ოსმალეთს შორის ზურგს უმაგრებს ამ უკანასკნელს იმპერიალისტების შემდგომი შემოტევის თავიდან ასაცილებლად.

ასევე დიდი როლი ითამაშა საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალურმა პოლიტიკამ სპარსეთის დამოუკიდებლობის განმტკიცებაზედაც. ამ სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა მტკიცედ შეიგნეს ის აზრი, რომ საბჭოთა კავშირთან მტკიცე თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელი იყო დამოუკიდებელი, ნაციონალური პოლიტიკის წარმოება და იმპერიალისტების გავლენისაგან თავის დაღწევა. ამ პოლიტიკის მეოხებით ინგლისის იმპერიალზმის გავლენა სპარსეთში ყოველდღიურად სუსტდება, რომლის საუცხოვო მაგალითს წარმოადგენს ხინგლისის მთავრობის ულტიმატუმის უარყოფა სპარსეთის მიერ, რომელითაც ინგლისელ იმპერიალისტებს სურდათ სპარსეთის სუვერენობის ფეხქვეშ გათელვა, უყენებდენ რა მას მოთხოვნილებას სხვა საკითხებთან ერთად შეამბოხე ხეიზალის სპარსეთში დაბრუნებისა და მისთვის ჩამორთმეულ ქონების ანაზღაურების შესახებ. ამით ჩემბერლენს სპარსეთმა ერთხელ კიდევ უჩვენა მაგარი მუშტი მისი თავხედური გამოსვლისათვის, რასაც ის ძველად დაჩვეული არ იყო.

ჩინეთის დიდი რევოლიუცია პირდაპირი შედეგია საბჭოთა კავშირის არსებობის და მისი ნაციონალური პოლიტიკის. მართალია, ჩემბერლენის აგენტებმა ერთხელ კიდევ შესძლეს თავიანთი ჩვეული ხერხით—გენერლების მოსყიდვის საშუალებით ჩინეთის რევოლიუციის დროებით დამარცხება და ამ გენერლებს უკარნახეს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტა, მაგრამ ასეთი მდგომარეობა რომ ჩინეთში დიდხანს არ გაგრძელდება, ამაში თვით ჩემბერლენიც არის დარწმუნებული და სწორედ ამიტომაა, რომ დღეს იქ ვხედავთ აუწერელ ბარბაროსობას ჩინელი მუშებისა და გლეხების მიმართ, რომლებიც იბრძოდენ როგორც იმპერიალისტების, ისე საკუთარი ქვეყნის მილიტარისტების წინააღმდეგ.

ინგლისის იმპერიალიზმი კოლონიალურ ხალხებთან დამოკიდებულების საკითხში ხელმძღვანელობს ორი საზომით. იქ, სადაც აუცილებელია აშკარა ბრძოლის წარმოება, გადადის შეტევაზე, რა თქმა უნდა უმთავრეს შემთხვევაში სხვისი ხელით, ხოლო, სადაც შეამჩნევს, რომ მდგომარეობა ჯერ კიდევ ძალზე არ არის გამწვავებული, იქ ცდილობს პატარა ძვალის გადაგდებას, რომ ამით თავისი ბატონობა გაახანგრძლივოს. ამ მეორე ხერხს მან ამ დღეებში მიმართა ინდოეთსა და ირაქში, მაგრამ სანამ ირაქის შესახებ რაიმეს ვიტყოდეთ, საჭიროა გავიხსენოთ იმ კომისიის დაარსების ისტორია, რომელსაც დავალებული აქვს ინდოეთის კონსტიტუციის გადასინჯვა.

დაახლოვებით ამ ორი თვის წინათ ნგლისის მთავრობის ინიციატივით შესდგა საპარლამენტო კომისია, რომელსაც დაევალა ზემოხსენებულ ფუნქციის შესრულება. დამახასიათებელია, რომ ამ კომისიაში მთლიანად შედიოდენ ყველა ინგლისელები და არც ერთი კაცი ინდოეთისაგან. ინდოეთის ხალხის ამ ცინიკურ დაცინვას სრულიად გულგრილად შეხვდა ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერები და პირველ რიგში თვით მაკდონალდი, რომელიც მომავალი მთავრობის თავმჯდომარეობაზე პრეტეზიებს აცხადებს. პარლამენტში მყუდროება მხოლოდ კომუნისტ დეპუტატმა საკლატვალამ დაარღვია და გაილაშქრა ასეთი კომისიის შექმნის წინააღმდეგ.

წინეთ დადებულ პირობის თანახმად კომისია შედგენილ იქნა ერთი წლით ადრე, ვინემ ის უნდა შექმნილიყო, მაგრამ კონსერვატორები ამ დათმობაზე წავიდენ ინდოეთში შექმნილ სულიერ განწყობილების გამო და ეს განწყობილება კი მიმართული იყო კონსერვატიულ მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ.

როგორც მოსალოდნელი იყო ინგლისის მთავრობის ასეთმა ნაბიჯმა არაჩვეულებრივი აღშფოთება გამოიწვია ინდოეთის მოსახლეობის ყველა ფენებში. აუარებელ მიტინგებსა და კრებებზე გამოქონდათ საპროტესტო რეზოლიუციები და მოითხოვდენ კომისიისათვის ბოიკოტის გამოცხადებას. განსაკუთრებული აღშფოთებით შეხვდა ამ აქტს ამას წინად ჩატარებული ინდოეთის პროფკავშირების ყრილობა, რომელსაც ინგლისიდან დაესწრო პროფკავშირების მოღვაწეთა შორის ყველაზე უფრო გაიძვერა პერსელი. ყრილობის სულიერი განწყობილება იმდენად წინააღმდეგ იყო მიმართული პერსელისადმი და მისი სახით ინგლისის იმპერიალიზმისადმი, რომ ამ უკანასკნელმა არსებითად ვერაფრის თქმა ვერ გაბედა და მხოლოდ დაკმაყოფილდა განცხადებით, რომ საჭიროა ინდოეთისა და ინგლისის მუშათა კლასის მტკიცე დაახლოვება და თანამშრომლობაო. გამოდის, რომ დაახლოვება და თანამშრომლობა საჭირო ყოფილა ინდოეთის მშრომელ ხალხზე ინგლისის კაპიტალისტების ბატონობისათვის, რასაც ყოველმხრივ უწყობს ხელს ინგლისის მუშათა პარტიაც.

პროფკავშირების ყრილობის დამთავრების შემდეგ 26 დეკემბერს გაიხსნა ინდოეთის ნაციონალური კონგრესის სესია, რომელზედაც კონგრესის თავმჯდომარემ განაცხადა:

„არც კონგრესს, არც ქვეყანას არაფერი ექნება საერთო ინგლისის მთავრობის მიერ დანიშნულ კომისიასთან, რომელიც არსდება ინდოეთის კონსტიტუციონური რეფორმის გადახედვის მიზნით. ვერც ერთი თავმოყვარე ინდოელი ვერ შეურიგდება ინგლისის პრეტენზიებს გან-

დეს ერთად-ერთ მსაჯულად ინდოეთის პოლიტიკური განვითარების გადაჭრაში“.

როგორც ვხედავთ, საუცხოვო სიტყვებია წარმოთქმული კონგრესის თავმჯდომარის მიერ, მაგრამ ამ სიტყვების გამანადგურებელ გზების გამოძებნის დროს ის საჭიროდ არ სცნობს აშკარა ბრძოლის წარმოებას ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და აცხადებს, რომ „ერთად ერთი საშუალება ინგლის-ინდოეთის თანამშრომლობის განსახორციელებლად არის ინგლისის და ინდოეთის სრულუფლებიან წარმომადგენელთა კონფერენცია“-ო.

ამ განცხადებით უკვე საკმაოდ მცირდება მისი სიტყვის პირველი ნაწილი და ის სთანხმდება ინგილსის იმპერიალიზმთან კომპრომისზე წასვლას. რაც საბოლოო ანგარიშით კაპიტულიაციას ნიშნავს. შესაძლებელია ინგლისის მთავრობა მართლაც წავიდეს ერთგვარ რათმობაზე და კომისიაში შეიყვანოს რამოდენიმე ინდოელი. მაგრამ ამითი მდგომარეობა არსებითად არ შეიცვლება. დამოუკიდებლობის მოპოებისათვის საჭიროა არა კომპრომისი, არამედ მასების მზადება გადამწყვეტ ბრძოლისათვის და ამის კი თვით ინდოეთის ბურჟუაზიასაც ეშინია, რომლებიც დღეს წარმომადგენელნი არიან ნაციონალურ კონგრესში და ამჯობინებს მშვიდობიანი შეთანხმების გზას. ინდოეთის უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი მოსახლეობა კულტურულად ძალიან დაბალ დონეზე დგას, რის გამო მუშათა კლასი საკმაოდ ვერ არის შეკავშირებული.

მიუხედავად კონგრესის თავმჯდომარის შემთანხმებლური სიტყვისა, კონგრესმა მაინც მიიღო ისეთი რეზოლიუციები, რომელიც ნათელს ფენს ინდოეთის მშრომელი მასების სულიერ განწყობილებას. დამახასიათებელია რომ რეზოლიუცია მოითხოვს ჩინეთის ნაციონალური მოძრაობისადმი თანაგრძნობის გამოცხადებას და აგრეთვე ინდოეთის ჯარების გამოყვანას ჩინეთიდან. ინდოეთიდან და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ ინდოეთი მალე დააღწევს თავს კოლონიალურ მდგომარეობას და მოიპოვებს დამოუკიდებლობას, მაგრამ ერთი კი აშკარაა, რომ დაწყებული განმათავისუფლებელი მოძრაობა თანდათან გაფართოვდება და ადრე თუ გვიან ბოლოს მოუღებს ინგლისის იმპერიალიზმის ბატონობას.

ასევე დამახასიათებელია ინგლისის პოლიტიკა ირაქისადმი, ამ ქვეყნის „დამოუკიდებლობა“ შექმნა ინგლისელ იმპერიალისტების კარნახით. მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, რასაც მიზნად ჰქონდა ოსმალეთის სიძლიერის დასუსტება. დღემდის ეს ქვეყანა წარმოადგენდა ინგლისის ყურმოჭრილ მონას. 14 დეკემბერს კი ლონდონში ხელი მოაწერეს ინგლისის-ირაქის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით ირაქი აღიარებულია „დამოუდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ“. აბა ვინ დაიჯერებს, რომ ჩემბერლენმა თავისი სურვილით მიანიჭა „დამოუკიდებლობა“ ირაქის სახელმწიფოს, და რომ ეს ნამდვილი დამოუკიდებლობაა. მაგრამ ამ ფარსის გათამაშება ალბად იმიტომ დასჭირდათ, რომ დანარჩენი კოლონიალური ქვეყნების ყურადღება ამ ფაქტზე შეაჩერონ და მათ პირდაპირ ბრძოლაზე ხელი აიღებინონ.

ჩემბერლენი მეორე „ბედნიერებასაც“ პირდება ირაქს. თუ 1932 წლამდე ის შეინარჩუნებს არსებულ ცივილიზაციურ მდგომარეობას და ამ ხნის განმავლობაში ირაქში ყველაფერი რიგზე იქნება, ამავე წელში ინგლისი ამ ხელშეკრულების ძალით იღებს ვალდებულებას მხარი დაუჭიროს ირაქის მიღებას ერთა ლიგაში.

როგორადაც არ უნდა შევხედოთ ხსენებულ ხელშეკრულებას, ის მაინც წარმოადგენს ინგლისის იმპერიალიზმის უკან დახევას კოლონალური ქვეყნების წინაშე. ამას ზედ ერთვის აგრეთვე ინგლისის მრეწველობის მწვავე კრიზისი ქვეყნის შიგნით, რაც კოლონიალურ ქვეყნებში გაჩაღებულ მოძრაობასთან ერთად ჰქმნის პირობებს ინგლისის იმპერიალიზმის ბატონობის ალსასრულისათვის.

მოსალოდნელია, რომ მიმდინარე საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ამ ქვეყნის მართვა-გამგეობის სათავეში მოექცევა უფრო „მემარცხენე“ მთავრობა. რომელიც შეეცდება კოლონიებსა და დომინიონებთან შეთანხმების მიღწევას და მით დღემდის არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას. მაგრამ ერთხელ დაწყებული ინგლისის იმპერიის რღვევას და მისი სძლიერის დაცემას ვერ შეაჩერებს მაკდონალდ-ლოიდ-ჯორჯის მოქნილი პოლიტიკაც.

კოლონიალური ერები საბოლოოდ შესდგენ განმათავისუფლებელი მოძრაობის მტკიცე გზაზე და ისინი ამ გზიდან აღარ გადაუხვევენ. მათი გამარჯვების თავდები კი არის საბჭოთა კავშირის არსებობა და მისი განმტკიცება.

ს. ელიაძე.

# ლოკაუტი თუ შეთანხმება?

**(შენიშვნა გერმანეთის რკინის წარმოებაში გამართულ ბრძოლის გამო)**

უკვე მეორე თვე თავდება, რაც დასავლეთ გერმანეთის რკინის და ფოლადის წარმოებაში აშკარა ბრძოლაა გამართული. ამ ბრძოლის ფორმალურ მიზეზს შეადგენს 1927 წლ. 16 ივლისის განკარგულება, რომლის მიხედვით 1928 წლის პირველ იანვრიდან რკინის და ფოლადის წარმოებაში რვა საათის სამუშაო დღის შემოღებას შეეხება.

ერთი შეხედვით ეს პარადოქსია, დემოკრატიული რესპუბლიკის 9 წლის თავზე ისეთ მნიშვნელოვან დარგში, როგორც ლითონის წარმოებაა რვა საათის სამუშაო დრო დაკანონებული და მისი რვა საათზედ შეცვლა იწვევს უსასტიკეს ბრძოლას. პარადოქსია,—მაგრამ სინამდვილე.

საერთოდ ცნობილია, რომ ომისა და რევოლიუციის შემდეგ გერმანეთში ერთგვარი სოციალური ზავი გამეფდა. კაპიტალიზმმა საგარეო ვალდებულებათა სიდიდითა და საერთო ეკონომიური სივიწროვით იმას მიაღწია, რომ „პრინციპიალურათ აღიარებული 8 საათის სამუშაო დღე პრაქტიკულად 10 საათათ აქცია და ამასთან ერთად სამუშაო ხელფასი საშიმშილო მინიმუმამდე დაიყვანა.

რამდენათ სოციალური ზავი სინამდვილეს წარმოადგენდა, ვხედავთ შემდეგ უბრალო დაპირდაპირებიდან. 1925 წ. მთელ გერმანეთში მოხდა 1541 გაფიცვა. ხოლო 1926 წ. 284. იმავე წლებში გაფიცვაში მონაწილე მუშათა რიცხვი უდრიდა 492.729. და 49.119 სულს. ინგლისში გაფიცვის რაოდენობა ორჯერ მეტი იყო 3,5-ჯერ მეტი მონაწილე მუშებით.

სამუშაო ხელფასის შედარება სამ მთავარ სამრეწველო ქვეყნების გვიჩვენებს გერმანეთის მუშების ჩამორჩენას. მაგალითად რკინის და ფოლადის წარმოებაში 1927 წ. სექტემბერში კვალიფიციური მუშა ღებულობდა კვირეულათ:

გერმანეთში 48, 32 მარკას*)
ინგლისში 62,00 მარკას.
შეერთებულ შტატ. 113,40 მარკას.

აქედან ცხადია, თუ რამდენათ გერმანელი მუშების ხელფასი ჩამორჩენილია. შეიძლება იმის თქმა, რომ ინგლისის და ამერიკის მუშების საცხოვრებელი სტანდარტი უფრო მაღლაა და ამის და მიხედვით შრომის ხელფასიც მაღლა უნდა იდგესო. ეს მართალი იქნებოდა მაშინ,

*) მარკა 46 კაპ.

რომ საერთო ფასოვნობის ზრდა და მისი ტემპი დიდ ნახტომებს იძლეოდეს. მაგრამ ეს ასე არ არის. ფასების დონე თითქმის ერთ და იმავე დონეზეა. განსხვავება მხოლოდ 5-დან 6 პროცენტამდე გამოიხატება.

კვირეული სამუშაო დრო გერმანეთის წარმოებისა დღემდე 54—56 საათია. ზემოთ აღნიშნული განკარგულება განსაზღვრავს 48 საათის სამუშაო დღეს და სამწყებათ მუშაობას. რასაკვირველია, მწარმოებლები თავიდანვე ასეთი გაწესრიგების წინააღმდეგნი იყვნენ. ასაბუთებდენ ყოველგვარ საშუალებებით, რომ წარმოება ვერ აიტანს, საექსპორტო უნარი შემცირდება, საშინაო ბაზარზე ფასები აიწევსო და სხვა. ყველა ეს არგუმენტები მხოლოდ იმისთვის იჭედებოდა, რომ არსებული ხელფასი საათების შემცირების მიხედვით, შემოკლებულიყო. ამ ნიადაგზე აღმოცენდა ბრძოლა, რომელმაც დეკემბრის განმავლობაში უმაღლეს წერტილამდე ააღწია. ჯერ კიდევ ნოემბერში მწარმოებლებმა მთავრობას მემორანდუმით მიმართეს, რომელშიაც ატყობინებდენ, რომ დანიშნული დროისათვის (1 იანვარი) რეფორმის გატარება შეუძლებელია, ვინაიდან წარმოება ასეთ უცებ გარდატეხას ვერ გაუძლებს. თუ სამუშაო ხელფასი და სხვა პირობები არ შემსუბუქდა, ჩვენ იძულებული ვიქნებით მთელი მრეწველობა გავაჩეროთ და მუშები დავითხოვოთო.

ასეთმა აშკარა შემოტევამ მდგომარეობა ერთი დაკვრით გაართულა. ამას დაერთო მუშების მოთხოვნილებაც, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ 16 ივლისის განკარგულება (ცხოვრებაში გატარებულ და სამუშაო ხელფასი საშუალოთ 6-დან 10 პფენინგამდე*) გადიდებულიყო.

ჭეშმარიტებაა, რომ კონფლიქტის გაძლიერება და საქმის ლოკაუტამდე მიყვანა გერმანეთის სახალხო მეურნეობისათვის სასიკვდილო ლახვარი იქნებოდა. წინასწარ განსაზღვრულია აგრეთვე ის პოლიტიკური შედეგები, რაც შესაძლებელია მოყვეს ასეთ გრანდიოზულ მოვლენას, როგორიც ლითონის წარმოების შეჩერებაა. ამიტომ მთელი სამეურნეო და სახელმწიფო აპარატი მოძრაობაში მოვიდა. ყველა მიმართულების პრესა ალაპარაკდა. რასაკვირველია, მწარმოებელთა ორგანოები, და 95 პროც. თითქმის ასეთია, მუშებს სახავდენ მიზეზად და ყოველ ძალღონეს ხმარობდენ მწარმოებლების მიერ წამოყენებული მოთხოვნილებები გაემართლებიათ, რათა განზრახული ლოკაუტი ფაქტი გამხდარიყო. მთავრობის ორგანოები, რა თქმა უნდა, ლოიალურათ ვერ იქნებოდენ. შრომის მინისტრი უკანასკნელ დრომდე მეთვალყურეობით კმაყოფილდებოდა და მხოლოდ 13 დეკ. გამოსცა სავალდებულო დადგენილება, რომ 16 ივლ. აქტის შეჩერება შეუძლებელია. ის უნდა გატარდეს, მხოლოდ დასაშვებია გამონაკლისი. ტეხნიკურათ მოუმზადებელი საწარმოებისათვის შეიძლება ვადის გაგრძელებაო, რაც შეეხება სამუშაო ხელფასის საკითხს, ეს ჯერ-ჯერობით მხარეთა შეთანხმების საქმეა და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში სამომრიგებლო კამერა ჩაერევა საქმეშიო.

ეს უკვე დიდი კაპიტულიაცია იყო. ღრმა რევერანსი რკინის ბარონების წინაშე, რამაც ცხადია, სათანადოთ მოალბო ფოლადის გული და მას სანახევროთ გამარჯვების იმედი შეუქმნა.

ხაზი უნდა გაუსვათ პროფკავშირების საქმინობას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დასავლეთ გერმანეთის ლითონის წარმოებაში შეკავშირებული მუშების უმეტესობა კათოლიკეთა, ჰირშდენკერის და ეგრედწოდებულ ნაციონალურ კავშირშია გაერთიანებული, ფრიად საგრძნობელ ძალას წარმოადგენს სოც-დემოკრატიული კავშირიც, მაგრამ ამ უკანასკნელის რეფორმიზმი ზემოთ ნახსენებ კავშირების რეაქციონურ პოლიტიკასთან შეზავებული, საბოლოოთ იძლევა ისეთ კონგლომერატს, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს დაწყებულ ბრძოლის დასასრულს. შრომის მინისტრის მიერ გამოცემული ოფიციალური განცხადება უკვე წინასწარი კომპრომისია, რომელზედაც აეგება შეთანხმება. მაგრამ რომც ეს მოხდეს, საბოლაოთ საკითხის მიფუჩეჩება უკვე შეუძლებელია. დაწყებულია ძლიერი ტალღის სრბოლა გაბატონებულ სოციალური ზავის წინააღმდეგ. ტალღების სრბოლა იწყება ლითონის დარგებიდან და ეს კი იმის თავდებია, რომ თუნდაც ღრმა და დიდი კომპრომისი მოკლე ვადის სულის ამოთქმაა. მომავალი წელი უკვე გაგვხდის დიდი და ღრმა მნიშვნელობის მოვლენათა მოწამეთ.

ლი—ლი.

# სოციალ დემოკრატია და საბჭოთა კავშირი

საერთაშორისო მუშათა კლასისათვის დღითი დღე უფრო აქტუალური ხდება საკითხი თუ როგორი უნდა იყოს მისი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის მიმართ. ამ წერილში ჩვენ გვაინტერესებს გამოვარკვიოთ სოც.-დემოკრატიულ პარტიის ბელადების აზრი ამ საკითხზე.

კ. კაუტსკი თავის წიგნში: „ინტერნაციონალი და საბჭოთა რუსეთი“ — აცხადებს, რომ საერთაშორისო პროლეტარიატის უდიდესი მოვალეობაა ბრძოლა ბოლშევიკური „დესპოტიის“ წინააღმდეგ. მომავალი ომი მისი აზრით გამოიწვევს საბჭოთა კავშირის დამარცხებას, რასაც მოჰყვება შინაური აჯანყება. ამიტომ დიდი შეცდომა იქნება თუ მე-2 ინტერნაციონალი აჯანყებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ უარყოფითად შეხედავს. პირიქით, საჭიროა, რომ ამ აჯანყებას სათავეში მოექცენ არა რეაქციონერები, არამედ სოციალისტები. რომ დღევანდელი რეჟიმი შეიცვალოს ბურჟუაზიული დემოკრატიით და არა მონარქიით.

ამრიგად კ. კაუცკი სდგას ყველაზე მარჯვნივ საბჭოთა კავშირის მოწინააღმდეგე „სოციალისტების“ შორის.

გერმანიის ს. დ. ცენტრალური ორგანოს აზრით აჯანყებები საბჭოთა კავშირში დიდი ხნით არ არის მოსალოდნელი და ამიტომ ამ საკითხს არა აქვს აქტუალური ხასიათი. ხოლო მოსალოდნელ ინგლის - რუსეთის კონფლიქტის დროს ს.-დ. აღიარებს თავის პაციფისტურ პოლიტიკის პრინციპებს. ე. ი. იცავს ნეიტრალიტეტს. ამავე დროს ს. დ. წარმომადგენელი ხალხთა ლიგაში ბრაიტშაიდი აცხადებს: „ჩვენ არ გვწამს ინგლისის ომის განზრახვები ან რომ ინგლისი აწყობდეს მტრულ კოალიციას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“.

ავსტრიის ს.-დ. პარტიის ხელმძღვანელი ოტტო ბაუერი სრულიად ეწინააღმდეგება კ. კაუცკის. ჯერ კიდევ 1925 წელს ერთ-ერთ სოციალისტურ ყრილობაზე მან განაცხადა: „რადგანაც თანდათან იზრდება საშიშროება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჩვენ არა დღეისათვის, ან ხვალისთვის, არამედ მომავლისათვის უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ ლოზუნგით: **„ხელები შორს საბჭოთა კავშირისაგან“**.

1927 წელს იგივე ბაუერი აცხადებს: „პროლეტარიატი მთელი თავისი ძალ-ღონით უნდა შეებრძოლოს ევროპის გაბატონებულ კლასების ბრძოლას საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ. ეს უნდა იყოს უმაღლესი სახელმძღვანელო პრინციპი პროლეტარიატის მსოფლიო პოლიტიკისა“. იგივე ბაუერი სწერს: „მესამე ინტერნაციონალს ასულდგმულებს ილლუზია, რომ მუშათა კლასის განთავისუფლება ხიშტების საშუალებით განხორციელდება და საჭიროა კიდევ ერთი მსოფლიო ომი, რომ მას მსოფლიო რევოლიუცია მოყვეს. ამიტომ კომუნისტები

*) პფენინგი 1—100 მარკა.

ხელს უწყობენ რევოლიუციონ. მოძრაობას აზიაში და აფრიკაში. წინააღმდეგობათა ასეთ ტენდენციებიდან გამომდინარეობს საშიშროება მსოფლიო ომისა.

წითელი იმპერიალიზმი—აი სადაა მიზეზი მოსალოდნელ საფრთხისა.

აქედან — ბაუერს გამოყავს შემდეგი დასკვნა: იმდენად, რამდენად იმპერიალისტები ებრძვიან საბჭოთა კავშირს, მას მუშათა კლასის მოვალეობად მიაჩნია კაპიტალისტურ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. მაგრამ იმდენად, რამდენადაც თვით კომუნისტები ერევიან სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში, მას მიაჩნია ეს „წითელ იმპერიალიზმად“, რომელიც ისევე დასაგმობია, როგორც კაპიტალისტური ინტერვენციები.

რატომ ხდება ეს ასე? საქმე იმაშია, რომ ფართო პროლეტარული მასები, რომლებიც სოციალისტებს მიყვებიან საბჭოთა კავშირში ხედავენ თავის კლასიურ მოკავშირეს მათ განმანთავისუფლებელ ბრძოლაში. მუშათა კლასის სიმპატიები, საბჭოთა კავშირის მიმართ ძალიან დიდია და აი ს.-დ. პარტიის ბელადები, რომ მათ არ დაკარგონ გავლენა მუშათა კლასზე აწარმოებენ მენშევიკურ კომპრომისების პოლიტიკას: „იმდენად —რამდენად“. აღიარებენ დიალექტიურ „კი—არას“ პრინციპებს და ცხოვრების მიერ გარკვეულად მოცემულ საკითხზე; საბჭოთა კავშირი თუ კაპიტალისტური იმპერიალიზმი? იძლევიან პიფიასებურ პასუხს და ნამდვილად კი მისდევენ კუდში ბურჟუაზიულ რეაქციას.

აღსანიშნავია, რომ თვით ისეთი „მემარცხენე სოციალისტი“, როგორიცაა პაულ-ლევი ამბობს, რომ საბჭოთა სახელმწიფომ დაკარგა პროლეტარული ხასიათი. „სტალინი ველსზე უფრო მარჯვნივ სდგასო, (ველსი არის გერმანიის მემარჯვენე სოციალ-დემოკრატი). ხოლო ოტტო ბაუერი სიამაყით აცხადებს, რომ გამართლდა მისი შეხედულება: საბჭოთა სახელმწიფო გადაიქცა გლეხურ სახელმწიფოდო. აქედან ცხადია, რომ სოც.-დ. ბელადები, რომლებიც მოითხოვენ, რომ პროლეტარიატის დიქტატურა შეიცვალოს ბურჟუაზიულ დემოკრატიით სისტემატიურად ატყუებენ მუშათა კლასს, რომელიც ზედმიწევნით დიდი სიმპატიებით და თანაგრძნობით უყურებს საბჭოთა კავშირს..

ერმოკრატი თალაკვაძე.

# თბილისის აღმასკომის მუშაობა

თბილისის საბჭოს და მისი აღმასრულებელი ორგანოების მთავარ საზრუნავ საგანს შეადგენს: ქალაქის და მაზრის კეთილმოწყობა. საბინაო საკითხის მოგვარება, საზოგადო სარგებლობის საწარმოოთა (ტრამვაის, წყალსადენის — ელსადგურების, სასაკლაოს) საკითხები და სხვა.

თბილისი , როგორც საქართველოს ცენტრი მსოფლიო ომისა და შემდეგ რევოლიუციის დროის ნგრევის პროცესში ყველა სხვა ქალაქებზე უფრო დაზიანდა.

ქალაქის მაშინდელმა მცხოვრებლებმა კარგათ იციან თუ როგორ მიიღო გასაბჭოებულმა თბილისმა და მისმა უზენაესმა ორგანომ — თბილისის მუშათა გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭომ, ის საზოგადო სარგებლობის საწარმოონი, ურომლისოთაც თბილისის მცხოვრებთ არსებობა არ შეუძლიათ.

ამიტომ გასაბჭოების დღიდან თბილისის საბჭოს რამდენიმე წელიწადი დასჭირდა, რომ ამ საწარმოოთა აღდგენითი პროცესი დაესრულებია და გეგმიანი მუშაობა დაეწყო.

უკანასკნელი ორი წელიწადი აუცილებლად უნდა ჩაითვალოს ქალაქის მეურნეობის ყველაზე უფრო ინტენსიური ზრდის წლებად.

კომუნალურ მეურნეობის ყველა დარგებს საანგარიშო წელიწადში. წინა წლებთან შედარებით გაცილებით მეტი ზრდა და განმტკიცება ემჩნეოდა.

წარმოების პროდუქციას ომამდე არსებულ დონესთან დაახლოვება ჩვენთვის იდეალს აღარ წარმოადგენს. თბილისის კომუნალურმა მეურნეობამ ამ ხანას უკვე გაასწრო.

ზემოთ ნათქვამს სავსებით ამტკიცებს კომუნალური მეურნეობის ბიუჯეტის სისტემატიური ზრდა. აღნიშნული ბიუჯეტი 192425 წელს უდრიდა:

შემოსავალი — 10.943.854 მან. 16 კაპ., გასავალი— 5.224.772 მან. 52 კ., 1925-26 წელს: შემოსავალი— 13.268.847 მ., გასავალი — 14.782.849 მან.

ეს სისტემატიური ზრდა განსაკუთრებით ახასიათებს საზოგადო სარგებლობის საწარმოოთა ბიუჯეტებს, როგორიც არის: ტრამვაი, წყალსადენი, სასაკლაო, აბანოები და სხვა.

## წყალსადენი

1926 წლის დეკემბერში ჩატარებულმა მოსახლეობის აღწერამ დაამტკიცა, რომ თბილისის მცხოვრებთა ყოველწლიურმა ზრდამ ამერიკულ ქალაქებს გაასწრო. საერთოდ მიღებულია, რომ ნორმალურ პირობებში ქალაქის მოსახლეობა ყოველწლიურად მატულობს ერთიდან ორ ნახევარ პროცენტამდე, თბილისი კი იზრდება ხუთ პროცენტამდე. ამ მდგომარეობას საანგარიშო წელიწადში მიაქცია ყურადღება თბილისის საბჭომ და განსაკუთრებულ ზომებს ღებულობდა ახალი წყალსადენის გამოყვანის დასაჩქარებლად, ვინაიდან საბჭომ ძალიან კარგათ იცის, რომ ქალაქისათვის ყველაზე მეტი მნიშვნელობისაა წყლის მოწოდების საქმე.

თუ აღნიშნული საქმე ვერ იქნა სათანადოთ მოგვარებული, ზედმეტია ლაპარაკი ქალაქის სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და საერთოდ მცხოვრებთა კულტურული დონეს ამაღლებაზე. ახალი წყალსადენის გამოსაყვანად უკვე ორი წელწადია სწარმოებს დუშეთის მაზრაში გეოლოგიური და გიდრავლიური გამოკვლევანი. პირველ ხანებში გამოკვლევა სწარმოებდა ორი ვარიანტით: ნატახტრის და ბულუნჩაურის წყაროების მაგრამ მკვლევართა დაკვირვებების შემდეგ უპირატესობა მიეცა ნატახტრის წყალს.

ამგვარად მუშაობის ერთი მხარე უკვე შესრულებული არის, ახლო მომავალში საბჭო შეუდგება ახალი წყალსადენის გამოყვანას, რომელიც 8.000.000 მან. დაჯდება. საანგარიშო წლის დასაწყისში წყალსადენის მუშაობის გასაუმჯობესებლად საბჭომ მიზნათ დაისახა შემდეგი ღონისძიებანი: 1. ზედნადები ხარჯების შემცირება და აქედან პროდუქციის გაიაფება. 2. პროდუქციის თვისობრივი გაუმჯობესება, 3. წყლის მუშათა რაიონებში გაყვანა, 4. აღრიცხვის მეტი ინტენსივობა, 5. ავჭალის რაიონული სადგურის ელექტრიზაცია და სხვა.

აღნიშნულ ღონისძიებებში მთავარ ყურადღებას იქცევდა წყლის მუშათა რაიონებში გაყვანა და პროდუქციის გაიაფება.

საანგარიშო წელს კომუნალური განყოფილება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქალაქის განაპირა უბნებს და შეძლების მიხედვით გაყავდა იქ წყალი

პროდუქციის გასაიაფებლად მიღებულ იქნა ზომები მანქანების თავის დროზე შეკეთებისათვის, მუშაობაში იქნა ჩაბმული ისეთი მანქანები, რომელნიც თავისი ძრავის მუშაობით და მაზუთის ხარჯვით გაცილებით იაფი ჯდება.

ყველა ამის შემდეგ ის არის, რომ თუ 1922 წელში 1000 ვედრო წყალის თვითღირებულება 51,5 კაპიკი იყო და 1923 წელს კი 42,8 კაპიკი, საანგარიშო წელიწადში ეს ღირებულება დადის 26.3 კაპიკამდე.

თვითღირებულების უფრო გაიაფება მოხდება ავჭალის რაიონული სადგურის ელექტროფიკაციის შემდეგ,

როცა 1000 ვედრო უნდა დაჯდეს არა უმეტესი 14—16 კაპიკისა.

საგრძნობლად იქნა გაზრდილი წყაროს წყალის დებეტი, რომელიც ამჟამად დღე და ღამეში აღწევს 600.000 ვედრომდე. ამის გამო ავჭალიდან საერთოდ მოდენილ წყალთან შედარებით წყაროს წყალის პროცენტებმა მოიმატეს და წინანდელი 20-29 პროცენტის მაგივრად ეხლა გვაქვს 34-50 პროცენტი.

საანგარიშო წელს დიდი ყურადღება მიექცა წყლის დასაწმენდ მანქანების გაუმჯობესებას და საერთოდ ფილტრის, ვინაიდან ამომრჩეველთა დირექტივების მთავარ ლოზუნგს პროდუქციის თვისების გაუმჯობესება შეადგენდა.

| №№ | მდგომარეობის მაჩვენებელი | 1925/26 წ. | 1926/27 წ. | 26/27 წ. % მიმართებაში 25/26 წელთან შედარ. |
|---|---|---|---|---|
| 1 | მოდენილია წყალი ავჭალიდან (ვედრო) . . | 408.462.862 | 414.624.516 | 101,5 |
| 2 | აღრიცხულია ქალაქში | 352.845.733 | 353.892.468 | 100,3 |
| 3 | მომქმედ წყალსაზომების რიცხვი . . . . . | 4.054 | 5.349 | 131,9 |
| 4 | აქედან წყლის გაყიდვიდან . . . . . . . | 1 221.649 | 1 190.930 | 97,5 |
| 5 | აქედან შტატის შენახვა . . . . . . . | 277.070 | 315.465 | 113,9 |

წყალსადენის მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღების ღირსია წლის აღრიცხვის საქმე. როგორც მოყვანილი ცხრილიდან სჩანს საანგარიშო წელიწადში წყალსაზომების რიცხვი გაზრდილა 31,9 პროცენტით. წყალსაზომების მდგომარეობა უფრო საინტერესო არის სხვა წლებთან შედარებით.

**წყალსაზომების რიცხვი.*)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1921 წელს | — 844 | წყალსაზომ. | 100 პროცენტი |
| 1924 „ | — 2735 | „ | — 324 „ |
| 1925 „ | — 3798 | „ | 450 „ |
| 1926 „ | — 5209 | „ | 617,2 „ |
| 1927 წ. 1 ოქტ-დე | — 5.823 | „ | — 689,8 „ |

ამრიგად თუ დემოკრატიულმა ხელისუფლებამ დაგვიტოვა 844 ნახევარად უმოქმედო და დაზიანებული წყალსაზომი თბილისის საბჭომ შვიდი წლის განმავლობაში მისი რიცხვის აყვანა შესძლო — 5.823-მდე. საანგარიშო წელიწადში საგრძნობლად გაიზრადა აბონენტთა რიცხვი. ეს ზრდა ხდებოდა განსაკუთრებით მუშურ რაიონებში.

წყალსადენის ფინანსიური მდგომარეობა ასეთია:

**შემოსავალი იყო:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1925/26 წელს | — 1.383.504 მან 2 კაპ. | | 100 პროცენტი |
| 1926/27 „ | — 1.356.408 „ 2 „ | | — 98 „ |

საანგარიშო წელს წყალსადენის შემოსავალმა, 26 წელთან შედარებით 2 პროცენტით მოიკლო.

**გასავალი იყო.**

| | | |
|---|---|---|
| 1925/26 წელს | — 891.669 მან. | 100 პროცენტი |
| 1926/27 „ | — 1.279.557 „ | — 143,5 „ |

*) აღნიშნული ცნობები შეეხება საკალენდრო წელს, ხოლო პირველ ცხრილში მოყვანილი ცნობები არის საბიუჯეტო წლის მიხედვით.

აღნიშნული ცნობებიდან სჩანს, რომ გასავალიც იზრდება.

ამგვარად წყალსადენის მეურნეობა, რომელიც 1921 წელს კატასტროფიულ მდგომარეობას განიცდიდა, აღდგენილ იქნა. ამჟამად თბილისის მოსახელობისათვის წყალის ნაკლებობას ადგილი აღარ აქვს.

წყალსადენის შტატი შესდგება 278 კაცისაგან.

თითო თანამშრომლის შენახვა 1926-27 წელში ჯდებოდა 84 მან. 34 კ. ხოლო საანგარიშო წელიწადში ჯდება 94 მან. 68 კაპ.

ამნაირად 1927 წელში თანამშრომლის შენახვის პროცენტი იძლევა მატებას. 12,3 პროცენტით, ვიდრე წარსულ წელში.

## ტ რ ა მ ვ ა ი

არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ თბილისის ტრამვაი გასაბჭოების პირველ ხანებში კატასტროფიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. რა ზომები იქნა თბილისის საბჭოს მიერ მიღებული და რამდენად წინ წავიდა ტრამვაის ნაყოფიერება. ამ კითხვებზე საჭიროა ციფრობრივი მასალების ალაპარაკება.

**რონოდების საშუალო რიცხვი ხაზზე დღეში.**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1920 წელს | — 64 | რონოდა | 100 პროც. |
| 1926 „ | 120 | „ | 187,5 „ |
| 1927 „ | 134 | „ | 209,3 „ |

რონოდების ასეთი კოლოსალური ზრდა ნათლად ამტკიცებს იმ ენერგიულ ზომებს ტრამვაის წარმოების ფეხზე დასაყენებლად, რომელიც მიუღია ტფილისის საბჭოს.

| მდგომარეობის მაჩვენებელი | 1925/26 წ. | 1926/27 წ. | 26/27 წ. % მიმართ. 25/26 წ. შედარებით |
|---|---|---|---|
| რონოდების საერთო ბრუნვა. . . . | 763.602 | 838.856 | 109,9 |
| განვლილ მანძილის რაოდენობა (კილომეტრებში) | 5.272.747 | 6.702.339 | 127,1 |
| ადაყვანილ მგზავრთა რიცხვი . . . | 45.917.957 | 54.617.642 | 118,9 |
| ელექტრონის ენერგიის ხარჯი . . . | 5.505.382 | 6.151.981 | 111,7 |
| შემოსავალი . . . | 3.069.086 | 3.585.719 | 116,8 |
| აქედან მგზავრთა გადაყვანიდან . . . | 3.001.939 | 3.496 130 | 116,5 |
| გასავალი . . . | 3.020.863 | 3.338.240 | 110,5 |
| აქედან შტატის შენახვა . | 1.737 256 | 1.898.238 | 107, |

აქ აშკარად სჩანს, რომ საანგარიშო წელიწადში მოუმატნია მგზავრთა გადაყვანის რიცხვს, რონოდების ბრუნვას, შემოსავალს და გასავალსაც. ეს ბუნებრივიც არის ვინაიდან ვაგონებმა მოიმატეს და შტატმაც მოიმატა. —

დღეში ერთი ვაგონის შემოსავალი საანგარიშო წელს გამოიხატა 72 მ. 34 კაპ. ე. ი. 7 პროცენტით მეტი ვიდრე 1925-26 წელს, თითო მგზავრის გადაყვანის თვით ღირებულება 1925-26 წლის განმავლობაში შეადგენდა 6,6 კაპიკს, ხოლო საანგარიშო წელიწადში კი 6,1 კაპიკს.

ერთმაგი გზის სიგრძე უდრიდა: 1920 წელს 34 კილ., 1924 წ. — 44 კილ. 1926 წ. — 52 კილ. და 1927 წ. კი—54 კილ.

ამგვარად, ტრამვაის მეურნეობის აღდგენასთან ერთად გასაბჭოების შემდეგ საბჭოს მოუხერხებია 15 კილომეტრის მანძილზე ახალი ხაზის გაყვანა. ამ ხაზის გაყვანა

განსაკუთრებით ხდებოდა მუშათა რაიონებში. —1925-26 წ. ტრამვაიზე მუშაობდა 1.765 კაცი, ხოლო საანგარიშო 1926-27 წ. 1 კაცით ნაკლები. თითო თანამშრომელის შესანახი ხარჯი ყოველგვარი ანარიცხებით და სპეცტანსაცმელით უდრიდა 1925-26 წელს 84 მან. 79 კაპ., ხოლო 1926-27 წ. 93 მან. 70 კაპ. ანუ 8 მან. 91 კაპ. მეტს, რაც შეადგენს 10,5 პროცენტს.

წარმოების გასაფართოვებლად, ინვენტარის შესაკეთებლად და წარმოების მხსვილ საგნების შესაძენათ საანგარიშო წლის განმვალობაში ტრამვაის დირექციის მიერ არის დახარჯული 672.244 მანეთი. მშუდმარის დასადგმელად, 18 რონოდის შესაძენად, 54 მატორიანი რონოდის შესაკვეთად და რელსების შესაძენათ ამავე წელში გადაიდვა 735.000 მანეთი. ტრამვაის დაზიანებული რონოდები აღარ აქვს, ყველა რონოდა კაპიტალური შეკეთების შემდეგ მოქმედებაშია.

 შ. გომართელი.

(შემდეგი იქნება)

# ყოფ. ახალგ. მარქსისტთა განყოფილება

## ქართველი ახალგაზრდობა ყოფ. ახ. მარქ. შორის მუშაობის ერთი წლის თავზე

ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა მარქსისტთა შორის იფეთქა პოლიტიკურმა გამოფხიზლებამ. შეიქმნა მასიური სალიკვიდაციო მოძრაობა, —რაც ჩამოყალიბდა ყოფ. ახ. მარქსისტთა შორის მომუშავე ცენტრალური ბიურო.

ჩვენ არ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას ამ მუშაობის წლიურ ანგარიშებზე. ეს კარგად იციან იმ პირებმაც, რომლებიც ჟურნალ - გაზეთებში თვალყურს ადევნებდნენ ჩვენს საქმიანობას და თავშივე დაინტერესებულნი იყვნენ ჩვენი სვე-ბედით.

ჩვენ გვინდა გავარკვიოთ, თუ როგორი პოლიტიკური განწყობილება იყო ქართველ ახალგაზრდობაში 2—3 წლის უკან და როგორია დღეს? როგორ იდგა საკუთარი ქვეყნისა და მთელი ქვეყნის მშრომელთა საკითხები ამ ხნის განმავლობაში და როგორ მიუდგა მას ახ. მარქსისტთა ორგანიზაციის სასიცოცხლო ძალებმა?—აი საკითხი, რომელიც ყველა კითხვაზე უფრო გვაინტერესებს დღეს ჩვენ,—რევოლიუციონურ ახალგაზრდებს.

მთავარი მიზეზი, რამაც ახ. მარქსისტთა ორგანიზაციის ფართე მასაში დააჩქარა პოლიტიკური გამოფხიზლების პროცესი, გამოიწვია საერთაშორისო მდგომარეობის ათასგვარმა გართულებამ და ამ გართულებულ საერთაშორისო პირობებში, საბჭოთა ხელისუფლების ინტენსიურ - ეკონომიურმა და კულტურულმა განვითარებამ.

ამ უაღრესად თავისებურ ისტორიულ მომენტში, უაღრესად თავისებური პოლიტიკური მოვლენები წარმოიშვენ. მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციისა და მუშათა კლასის გამარჯვების საქმე ათასჯერ განსაცდელში და გასაჭირში ჩავარდა. მსოფლიო იმპერიალიზმი ყველა ფრონტზე შეტევაზე გადავიდა. მან არა ერთხელ სისხლის მორევში დაახრჩო თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხი და ასევე სასიკვდილოთ დაემუქრა სოციალიზმსა და სოციალიზმის მატარებელ პარტიებს. საბჭოთა სოციალისტური მშენებლობის გზებიც კაპიტალისტური გარემოცვისა და საშიშროების პირობებში წარიმართა. და ყოფნა არ ყოფნის საკითხები ერთმანეთზე ათასგვარად გადაიხლართენ.

ამ გადამწყვეტ ისტორიულ მომენტში, ახ. მარქსისტთა ორგანიზაციას, როგორც ერთ-ერთ პოლიტიკურად მომქმედ ორგანიზაციას, რომელმაც ნაწილობრივად მაინც განვლო პარტიული სკოლა და შეძლების და გვარად შეისწავლა ეკონომიურ - პოლიტიკური საკითხები,— არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია საქართველოში და მთელ მსოფლიოში შექმნილ ახალ პოლიტიკურ მდგომარეობისათვის, მეტადრე როცა მისი სათაყვანებელი სოც.-დემოკრატია და მეორე ინტერნაციონალის ლიდერები ამ გადამწყვეტ ბრძოლაში მსოფლიო იმპერიალიზმის ბარიკადებზე დაინახა, როცა მუშათა კლასის მართალ სისხლში ამ დემოკრატიის გასვრილ ხელებს საკუთარი თვალებით შეხედა. მეტის ატანა შეუძლებელი იყო. საკუთარი ქვეყნისა და მთელი ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობის ასეთმა გამასხარავებამ მოთმინების ფიალა გაავსო. სოციალ - დემოკრატიის ყალბი სოციალური სახე და ფრაზეოლოგია სავსებით გამოაშკარავდა. ახ. მარქსისტთა ორგანიზაციის სასიცოცხლო ძალებმა ერთბაშად გაიგეს, რომ ამ დემოკრატიას არა თუ მშრომელი ახალგაზრდობის ხელმძღვანელობა შეეძლო, არამედ იგი თურმე არც ევალებოდა და არც დაივალა მან.

ყველაფერი ეს კი დიდი საბაბი დარჩა იმისათვის, რომ ახ. მარქსისტთა ორგანიზაციის თვითეულ წევრებს ყურები დაებერტყა და ავანტიურისტული არტახები საკუთარი ხელებით შემოეხსნა.— და მან ასეც მოიქცა. ძველი, მენშევიკური ბანაკი დასტოვა და ახალი ბრძოლის არენაზე შეგნებულად გამოვიდა. სხვაფრივ არც შეიძლებოდა, რომ მომხდარიყო:

ან ფაშისტური მონარქიზმი—ან საბჭოთა წყობილება. ან უკანასკნელის საქმიანი სოციალისტური მშენებლობა და პირდაპირი სვლა მსოფლიო კომუნიზმისაკენ—ან ყველაფრის უარყოფა და ერთი საუკუნით უკან დახევა, ან თავისუფლება მსოფლიოზე და ან ისევ კაპიტალის მარადი ბატონობა შრომაზე.

— ასე მარტივად და მკაფიოდ დაისვა საკითხი ყველას წინ. ასეთი კრიტერიუმით ხელმძღვანელობდა ყოფ. მარქსისტთა შორის მომუშავე ცენტრალური ბიურო და მის გარშემოკრებილი ათასეული ამხანაგები ამ ინტენსიურსა და დაუღალავ მუშაობაში. და საბოლოოდ-არჩევანი დასრულდა. **ახ. მარქსისტთა ორგანიზაციის კართაგენი თვითონ ამ ორგანიზაციის წევრებმა დაამსხვრია.** საბჭოთა სოციალისტურმა საქართველომ ასი პროცენტით სძლია მონარქისტულ - ბურჟუაზიულ საქართველოს. ჩემბერლენ-ხიკსებისა და ჩერჩილების სასარგებლო ბრძოლის ნაცვლად, მარქსისტ. ახალგაზრდობამ ერთხმად მუშათა კლასისათვის თავდადება აღიარა. სადავო, საეჭვო და საკამათო არაფერი დარჩა. მენშევიკური ემიგრაციის მიერ საცოდავათ ნათითხნ და მალულ საქმეებს ნიღაბი აეხადა. ყველა გაუგებარს ნათელი მოეფინა და ლეტარგიული ძილისა თუ პოლიტიკური გზააბნეულობის პროცესი დამთავრდა. და მუშურ - გლეხური რესპუბლიკის შვილებმა, მარქსისტთა ორგანიზაციის სასიცოცხლო ძალებმა გვერდში ამოუდგა იმ ხელისუფლებას, რომელმაც ყველა მხრიდან თავგამოდებით იბრძოლა და იბრძვის მუშათა და გლეხთა პოლიტიკურ - ეკონომიური პრივილეგიების მოპოებისათვის—მთელ ქვეყანაზე.

ახ. მარქსისტთა ორგანიზაციის წევრებში, პოლიტიკური გამოფხიზლების პროცესმა ჯერ კიდევ 1924 წელს იჩინა თავი. აგვისტოს ავანტიურამ სამუდამოთ გარდატეხა ისეთ ელემენტებშიაც კი მოახდინა, რომლებიც პოლიტიკურ საკითხებში ვერ ერკვეოდა. ამ ავანტიურამ თუმცა დიდი და აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა ქართველ ხალხს და მეტადრე ქართველ ახალგაზრდობას, მაგრამ მან ერთი სარგებლობა მაინც მოუტანა მას. მან ერთხელ და სამუდამოთ გაჰფანტა მენშევიკური ემიგრაციის მიერ შექმნილი პოლიტიკური ბურუსი და ამან ხელისუფლების საწინააღმდეგოთ განწყობილი ახალგაზრდობის პოლიტიკური ორიენტაცია შედარებით სწორი კურსისაკენ წარმართა. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში, წარმოებულმა მუშაობამ, კი, ეს ახლად აღებული ორიენტაცია, უფრო საღ პოლიტიკურ სისტემაში ჩამოაყალიბა და ქართველ ახალგაზრდობაში შექმნა მთლიანი და

გარკვეული პოლიტიკური ფრონტი. სინამდვილისა და პოლიტიკური ფაქტების ობიექტიური შესწავლა ამ ხნის განმავლობაში სავსებით დამთავრდა და სოციალიზმისაკენ სავალ სწორ გზაზე ქართველი ახალგაზრდობა მთლიანად დადგა.

მართალია, აქა-იქ დარჩა ხელისუფლების გაბუტული, უმნიშვნელო პირები, რომლებიც „დაცდის პოლიტიკით“ გაბრუებულნი აცდენ სალ პოლიტიკურ მხედველობას და კაპიტალისტური აპოლოგიის ჭაობში გაიყინენ, მაგრამ ეს ის პირებია, რომელთა პოლიტიკური წონა და ღირსება დღეს ყველას ღიმილს ჰგვრის, და რომლებსაც დღეს ჩვენში არავინ უყურებს და არც არავის ახსოვს. მარქსისტთა ორგანიზაციის ათასეულ ამხანაგებმა კი ამ სამარცხვინო ლეშებს ზურგი აქცია და თავისი ბედი შეუერთა კომუნიზმსა და კომუნისტების ბედს, არა მარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ხელისუფლების უკმაყოფილო ახალგაზრდები განმარტოვებული დარჩა. გარდა იმისა, რომ ისინი ბრძოლის ასპარეზიდან აღიგვენ, აგრეთვე გაძევებულ იქნენ. და ისინი, როგორც პოლიტიკურად მომქმედი პირები მოკვდნენ.

ამგვარად ჟორდანია - რამიშვილის უკანასკნელმა იმედებმა, ქართველ ახალგაზრდობაზე დამყარებულმა, საბოლოო ჩაილულის წყალი დალიეს. **კომკავშირისა და ახ. მარქსისტებს შორის ჩატეხილი პოლიტიკური ხიდი არა თუ სავსებით ჩაიმტვრა, არამედ სამუდამოთ გამრთელდა,** ქართველი ახალგაზრდობა არა თუ სამკვდრო-სასიცოცხლოთ გაიყო, არამედ მუდმივი სიყვარულით გაერთიანდა და თავის შემოქმედებითი ისტორიაში დაიწყო ახალი საქმე. საქმე წმინდა საკაცობრიო, საქმე წმინდა კომუნისტური და პროლეტარული. და მათ ამ გზიდან ვერ დააბრუნებს ვერც ჟორდანია-რამიშვილის გულშემზარავი ტირილი და ვერც ჩემბერლენ-ხიქსებისა და პილსუდსკების იმპერიალისტური ყიყინი.

ყველაფერი გათავდა. ქართველი ახალგაზრდობა სამუდამოთ გაერთიანდა. მან კომკავშირის რიგებში მოიყარა თავი. დღეიდან იგი იოტის ოდენა ენერგიას უსარგებლოთ და უმიზეზოთ არაფერში არ გაიღებს. მას ხელისუფლებასთან ენერგიული თანამშრომლობა და ცოდნის შეძენა სწყურია.

ასეთი შეგნებიდან გამოსული ახ. მარქსისტთა ორგანიზაციის ყოფილი წევრები, მისი სასიცოცხლო ძალები შეუჩერებლად წავლენ კომკავშირთან ერთად იმ ეკლიანი გზით, რომელიც მიდის სოციალიზმისაკენ. ისინი ამ გზით ან შევლენ სოციალიზმის სამეფოში და ან მოკვდებიან.

შოთა გოგუა.

# რა მოხდა

დაკვირვებული ადამიანი გაიგებს, რომ საქართველოში კომუნისტური ხელისუფლების დამყარების შემდეგ ისტორიაში ჯერ უმაგალითო რამ მოხდა. ძლიერი და ოცდაათი წლის ისტორიის მქონე ს.-დ. პარტია სავსებით განადგურდა. ამ პარტიის ნამდვილი წევრები შეურიგდა თავის ყოფილ მოწინააღმდეგეს და დღეს მასთან ერთად იბრძვიან და თვით ამ პარტიის აქტიურ წევრებს წარმოადგენენ.

ჩვენ გვახსოვს, რომ ს.-დ. პარტიის წევრების დიდი უმრავლესობა დარწმუნებული იყო იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობა რაღაც ორი-სამი თვის საქმე იყო, რომ ის უსათუოდ დაინგრეოდა. ასეთი რწმენით ითვლიდნენ დღეებს, თვეებს და ბოლოს წლებსაც. მათი გულისყური მიპყრობილი იყო შავი ზღვისაკენ და ფიქრობდნენ აი დღეს, აი ხვალ გამოჩნდება საქართველოს „განმათავისუფლებელი“ გემებიო.

მას შემდეგ შვიდმა წელმა განვლო და კომუნისტებს ისევ ისე მაღლა უჭირავს წითელი დროშა და მთელი ქვეყნის მშრომელებს მოუწოდებენ, ბურჟუაზიასთან საბრძოლველად.

შვიდი წელი ძალიან დიდ დროა, რომ ისწავლოს კაცმა თუ ვინ არიან და რა სურთ კომუნისტებს, თუ 21—22 წლებში ადგილი ქონდა გაუგებრობას, უცოდინარობას. დღეს, შვიდი წლის შემდეგ, ყოვლად შეუძლებელია ამის გამართლება. დღეს ჩვენ თვალწინ ხდება ყოველივე ის, რის წარმოდგენაც წინეთ არ შეგვეძლო. გადავავლოთ თვალი დღევანდელ საქართველოს. ის უდიდესი აღმშენებლობა, რომელიც დღეს საბჭოთა კავშირში და კერძოთ საქართველოში სწარმოებს, შეუძლებელი იყო მენშევიკების დროს. ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე, პირწავარდნილი კონტრ-რევოლიუციონერიც კი გრძნობს, რომ საბჭოთა ხელისუფლება, მიუხედავად იმისა, რომ ის ირგვლივ გარშემორტყმულია იმპერიალისტური ქვეყნებით; მოხერხებულად აგვარებს მათთან ურთიერთობას და ზედმიწევნით ანვითარებს თავის ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობას.

დღეს თვით ჯიუტებიც ვეღარ მალავენ რომ, საბჭოთა ხელისუფლება ეს ის ხელისუფლებაა, რომელიც ქმნის ახალ ცხოვრებას, აშენებს სოციალისტურ ქვეყანას, ანგრევს და შლის ყოველივე იმას, რაც ამ მშენებლობაში მას ხელს უშლის. დიახ, ხდება დაუჯერებელი, ხდება სასწაულები, რის წარმოდგენაც მაშინ შეუძლებელი იყო, დღეს სინამდვილედ გადაიქცა...

ყველა პატიოსანი მოქალაქე ვალდებულია კარგათ ჩაუკვირდეს ყოველივე ამას და ვისაც სურს დარჩეს მშრომელთა რიგებში, ვისაც უძგერს რევოლიუციონური გული, უნდა დადგეს კომუნისტურ დროშის ქვეშ და მათთან ერთად შესძახოს:

ძირს ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუცია. ძირს ხალხის სისხლით მოვაჭრეები. გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

**აფრასიონ ურატაძე.**

# მგელ-კაცები

ამ დღეებში ლენინის რაიონში სასამართლომ გაარჩია ხუთი ხულიგნის: ქვაჩოლიაშვილის, სამადაშვილის, მერაბაშვილის და კაპიაჯიძის საქმე.

ამ საქმის შინაარსის აწერას მე აქ არ შევუდგები, მოვიყვან მხოლოდ მოკლეთ მათ მიერ ბ-შვილის ქალის მხეცურად წამებას, რასაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს.

ამ მგელ-კაცებმა მეეზოვეს დახმარებით მინდორში გაიტაცეს ახალგაზრდა ქალი და გაუპატიურების მიზნით რამოდენიმე საათი აწვალეს. სწარმოებს სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლა ამ მხეც ადამიანებსა და მათ მსხვერპლს შორის. მიუხედავად იმისა, რომ მსხვერპლი დასისხლიანებული და ნაბეგვ-ნაცემია, მაინც გამარჯვებული გამოდის ამ ბრძოლიდან. ერთი შეხედვით ეს თითქო არაფერია და ასეც აზროვნებდნენ ზოგიერთები პროცესის მსვლელობის დროს დარბაზში.

— „რა უყოთ“ ქვეყანა ხომ არ დაქცეულა „ბიჭები ახალგაზრდებია“ აღელვებული სისხლის პატრონი. ლამაზი ქალიშვილი დაინახეს ორი მეგობარი ვაჟის თანხლებით და აღელვებულებმა მოინდომეს მასთან სქესობრივი

კავშირის დაჭერა. — ნებით არ დათანხმდა და ძალა იხმარეს...

ასეთი უგუნური სიტყვების როშვა პირუტყვისაც არ ეკადრება. მაგრამ — რას ვამბობ? — განა პირუტყვის კეთილშობილებას შეედრება ზოგიერთი ორფეხა მხეცი—კაცის სისაზიზღრე?

სად გაგონილა, რომ რომელიმე პირუტყვმა, ძალადობა იხმარა, თავისავე ჯიშის დედალ პირუტყვზე? პირუტყვი რომ დამაკლდება ის შემდეგ მამალი არ მიიკარებს, არც მამალი შეიძლება მას, მაგრამ ორფეხი მხეცი? ამისათვის ხომ არ არსებობს არავითარი კანონი ამ შემთხვევაში?! ჭეშმარიტად, რომ წითლდები და გრცხვენიან. როდესაც ამ საკითხში ადამიანს პირუტყვს ადარებ.

დიახ, პირუტყვები არ ჩადიან იმას, რასაც ჩადის ადამიანი მასავით ადამიანი დედაკაცის შესახებ.

რამდენი ადამიანის დამამცირებელი, სიტყვები მესმოდა იმ ღამეს დარბაზში ზოგიერთებისაგან ქალების მიმართ?

სამწუხაროდ, ქალის საკითხი, ბევრს ჯერ კიდევ ისევ ისე ძველებურად ესმის. რა თქმა უნდა, ჩემი კალამი ასეთ დიდ საკითხისათვის ფრიად უმნიშვნელო და სუსტი იქნება, მაგრამ მე, როგორც ოჯახის მამა, მაინც მინდა ამ საკითხის შესახებ ჩემი აზრი გამოვსთქვა, მხოლოდ იმისათვის რომ სხვები, უფრო კარგი თავიანები და კალმოსნები აალაპარაკო, რომ დროულად აილაგმონ, ამ უკანასკნელ ხანებში მეტად მომრავლებული ხულიგანთა ჯგრო და მით თავისუფალი გავლის საშუალება მიეცეს ქალებს ქალაქის ქუჩებში მაინც სოფლებს და ღრე-ტყეებს რომ თავი დავანებოთ ყოველ მამაკაცს ყოველი ქალი უნდა მიაჩნდეს უზენაეს არსებათ, რადგანაც მხოლოდ ის არის ძისი მომავლინებელი ამ ქვეყნად. 9 თვე მუცლით ატარა, ვაიდა და მწარე ტკივილებით შობა, რომლის მსგავს ტკივილებს ვერც ერთი წარმოიდგენს მამაკაცი. მშობიარობის შემდეგ თხუთმეტ წლამდე მაინც მისი საპატრონოა.

დედაზე საყვარელი, მაზე ტკბილი ადამიანს არაფერი არ გააჩნია. დედაა მისი გულის მესაიდუმლე, მისი მცველი და მფარველი ანგელოზი. ამიტომ არის, რომ ადამიანს ჭირსა და ლხინში დედა ახსოვს. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ადამიანი, რომელსაც დედა არ უყვარდეს.

თუ ეს ასეა, ჩვენ ყველა მამაკაცები შეფრქვევით და ალტაცებით უნდა ვეგებებოდეთ ყოველ ქალს უბრალო შეხვედრის დროსაც კი და მის გაჭირვების დროს, როცა მას შეურაცხყოფას აყენებენ, ყოველი მამაკაცი უნდა გამოვიდეს მის დასაცავად.

როგორი დანაშუალი ჩაიდინეს ზემო დასახელებულმა მხეც-კაცებმა? მათ სისხლის დანაშულთან ერთად ჩაიდინეს უაღრესად პოლიტიკური დანაშულიც, რომელსაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც აქვს. ჩვენ ჩვენი მამები, დები, დედები, შვილები და ძმები დიად რუსეთის რევოლიუციაში ბრძოლის დროს ასი ათასობით ზვარაკათ მივიტანეთ თავისუფლების სამსხვერპლოზე და მერე რისთვის? იმიტომ რომ დღეს პროლეტარიატის დიქტატურის დროს რევოლიუციის მიერ გაბოროტებული ხულიგნები თავს გვესხმოდნენ და ჩვენს ქალებს გვიუპატიურებდნენ? მე სრულებითაც არ გამიკვირდება, რომ ასეთი თავდასხმა მოწყობილი იყოს რეაქციონერების მიერ თუნდაც იმ მიზნით, რომ ათასნაირ პროვოკატორებს საშუალება მიეცეთ ლაყბობისათვის: აი ხომ უყურებთ რა ხდება საბჭოთა ხელისუფლების დროს; ქუჩაში ქალს ვერ გაუვლია. მას მგლებივით თავს ესხმიან. ქალაქს გარედ იტაცებენ და იქ თუ მაშინვე წუთისოფელს არ გამოასალმეს, გააუპატიურებენო". და ამას მოიმოქმედებენ ჩვენი ხელისუფლების წინააღმდეგ საგიტაციო მიზნით.

ამიტომ სრულიად სამართლიანი იყო ამ საქმეში მონაწილე ბრალმდებელი ამხ. ლ. ელენტი, რომელმაც თავის საბრალმდებლო სიტყვაში სხვათა შორის თქვა. „ეს დანაშაული არ არის მარტო სისხლის სამართლის დანაშაული, არამედ ის მასთან ერთად არის პოლიტიკური და სახელწიფოებრივი დანაშაულიო".

**ლავრენტი კუპრაშვილი.**

# ჩემი განცხადება

1922 წლიდან, როდესაც საქართველოს მენშევიკურმა პარტიამ გადასწყვიტა არალეგალური მუშაობის წარმოება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მე ვმუშაობდი არალეგალურად მენშევიკურ ორგანიზაციაში. ვიყავი ერთხელ დატუსაღებული 1923 წელში და განთავისუფლებული ხელის მოწერის ქვეშ, როგორიც ეს მაშინ იქმნა შემოღებული მოდაში, ჩვენი ცეკას დადგენილებით. განთავისუფლების 1-2 თვის შემდეგ შევუდექი ხელ ახლად არალეგალურ მუშაობას და ვასრულებდი პარტიაში საპასუხისმგებლო მოვალეობას. ამ მუშაობის პერიოდმა გასტანა დაახლოვებით 1927 წლის მე-2 ნახევრამდე. ამ ხნიდან კი სრულიად ჩამოვშორდი არალეგალურ მუშაობას და გავწყვიტე ს.-დ. პარტიასთან ყოველგვარი კავშირი.

დღევანდლამდის არ გამომიცხადებია პრესის საშუალებით ჩემი ჩამოშორება — მენშევიკებიდან, მხოლოდ სიტყვიერათ თავის დროზედ ვაცნობე ს. კ. პ. (ბ) ცეკასთან არსებულ მენშევიკთა განყოფილებას. ვინაიდან ზოგიერთ ამხანაგებს ჰგონიათ, რომ მე კიდევ მაქვს რაიმე კავშირი მენშევიკების ორგანიზაციასთან, ამისათვის გამოვდივარ პრესის საშუალებით და ვაცხადებ, რომ ჩემსა და მენშევიკებს შორის ჩატეხილია საბოლოვოთ ხიდი.

რატომ ვსთქვი უარი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაზედ და გულწრფელად მივედი მათთან სათანამშრომლოდ?

ამის მიზეზია ჯერ ერთი, საქართველოს მენშევიკური პარტიის სოციალისტური გზიდან საბოლოვოთ გადაცდენა, რომელიც შავი ზოლით გასდევს განსაკუთრებით ავგისტოს აჯანყების შემდგომ პერიოდს.

ადგილობრივ არალეგალურათ მომუშავეთა ერთმა ჯგუფმა, რომელიც აშკარად ჰხედავდა თუ საით მიყავდა ჩვენი ქვეყანა ასეთი გზით სიარულს, წამოაყენა შემდეგი მოთხოვნილებანი.

1. საზღვარგარეთის ბიუროს სამუდამოდ უნდა აელო ხელი ყოველგვარ აჯანყებაზე, ტერორზე და სხვა.

2. გაეწყვიტა ყოველგვარი კავშირი ევროპის ბურჟუაზიულ მთავრობებთან და ემოქმედნათ მხოლოთ მე-2 ინტერნაციონალის საშუალებით.

3. საზღვარგარეთის ბიურო დამორჩილებოდა არალეგალურ მე-3 ყრილობის მიერ არჩეულ ცენტრალურ კომიტეტს და ემუშავნა მხოლოთ ცეკას დირექტივების თანახმად.

კიდევ იყო მრავალი მოთხოვნილება, მაგრამ მათ აქ არ შევეხები.

ნ. რამიშვილს და კომპანიას, რა თქმა უნდა, არ მოეწონათ საქართველოში მომუშავე ამხანაგთა ასეთი აზრები და სასწრაფოთ აფრინეს კაცი საქმის გამოსაკვლევად. რწმუნებულმა პირნათლად შეასრულა ნაკისრი მოვალეობა, შექმნა თავისი ცენტრალური კომიტეტი და დაიწყო არალეგალური მუშაობა. — ვინაიდან მას ხელში ჰქონდა საზღვარგარეთის გზა, იქაური ლიტერატურა და უმთავრესად ფული, გამარჯვებულიც ის გამოვიდა.

ამ დამარცხებული ჯგუფის შეხედულებებს ვიზიარებდი აგრეთვე მეც, როდესაც საფუძვლიანათ გავეცანი ყველა საზღვარგარეთის დოკუმენტებს წარმოგზავნილ რწმუნებულის საქმიანობას, საბოლოვოთ დავრწმუნდი, რომ ემიგრაციის ბელადები სრულიადაცა არ ზრუნავენ საქართველოს მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის, მათ მხოლოდ აინტერესებთ ხელისუფლების სათავეში ყოფნა, და მზათ არიან მოაწყონ ახალი ავანტიურა, თუ გინდ ამან შეიწიროს ნახევარი ქართველი ხალხის სიცოცხლე.

ჩემს გამემარცხენებას ხელი შეუწყო აგრეთვე ჩვენი

არალეგალური რიგების პროლეტარული ელემენტების. საშინლათ შეთხელებამ (ზოგიერთ მაზრაში კი სანთლით გვიხდებოდა კაცის პოვნა) პროლეტარულ ელემენტის მაგივრად ადგილს იჭერდა, ბურჟუაზიული ინტელიგენცია, ვაჭრები და სხვა, საჭირო იყო მხოლოდ 50 კ.—1 მ. საწევრო გადასახადის შემოტანა, და ჩვენ იგი შეგვქონდა წევრთა რიცხვის სტატისტიკურ ცხრილში.

მეორე პოლიუსზე კი სულ სხვას ვხედავთ, თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ ყოველგვარი საფუძველი კომუნისტურმა პარტიამ გამოგვაცალა ფეხიდან. გახუნდა ფრაზები: „ოკუპაცია", ქვეყნის დანგრევა", „ძალადობა" „მოსყიდვა" და სხვა ასეთები.

წლიდან წლამდე საბჭოთა ხელისუფლება მედგრად და გულმოდგინეთ სჭედავდა პროლეტარულ სახელმწიფოს, რომლის შედეგიც ვიხილეთ ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე. ყოველივე ამის შემდეგ სრულის შეგნებით მივედი კომუნისტურ პარტიასთან, მივედი, როგორც დანაშავე და ცოდვის მოტევება ვთხოვე.

საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები ეკონომიურ-კულტურულ ფრონტზე აშკარად ადასტურებენ კომუნისტური პარტიის მიერ აღებულ ბრძოლის ხაზის სისწორეს. მისი მიღწევები გვიჩვენებენ თუ რამდენათ შესძლო საბჭოთა რესპუბლიკების პროლეტარიატმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სამოქალაქო ომის მიერ მთლიანად განადგურებულ სახალხო მეურნეობის აღდგენა საკუთარის საშუალებებით, რომელიც ძალიანაც არ მოსწონს ევროპის ბურჟუაზიას.

რამდენადაც საბჭოთა ხელისუფლება წინ მიდის გამარჯვებისაკენ. აშკარა ხდება მისი მიღწევები, იმდენად ევროპის ბურჟუაზია აქტიურ შემოტევაზე გადადის საბჭოების წინააღმდეგ

ერთი მხრივ სდგას ახალგაზრდა პროლეტარული სახელმწიფო პროლეტარიატის მიღწევებით სოციალიზმისაკენ, მეორე მხარეზე კი მობერებული ევროპის ბურჟუაზია მშრომელი მასის გაძვალტყავებით გამდიდრებული სოც. გამყიდველების ლოცვა - კურთხევით, რომელიც ამზადებს პროლეტარიატის სამშობლოს თავდასხმას. ქართული ემიგრაციის ბელადების პროვინციული და ავანტიურისტული მუშაობა საზღვარ-გარეთ და საქართველოში ხელს უწყობს ბურჟუაზიის ზრახვებს.

აი ამ დროს საჭიროთ მიმაჩნია განვაცხადო, რომ მე ჩამოვშორდი რა მენშევიკების ავანტიურისტულ გზას, მზათ ვარ შევასრულო კომუნისტური პარტიის ყოველგვარი დავალება და იარაღით ხელში სიკვდილამდე დავიცვა საბჭოთა ხელისუფლება.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას და მის მესვეურს კომუნისტურ პარტიას.

**ი. ხატიაშვილი.**

# უსინათლო მსახიობთან

მიკვირს, რისთვისა ფიქრობენ მგოსნები, რომ ტანჯვაში იყოს მშვენიერება. აი გუშინ ვეწვიე ძველს მსახიობს, დავით აწყურელს (გამყრელიძე) და განუსაზღვრელ მწუხარების მღვიმეში შევდგი ფეხი. იგიც მოხუცობის ჟამს ტიალ ბედს ისევე გაუქელავს და გაუსაპყრობია, როგორც სხვა მრავალი ხელოვანი. მარტოობა და სავალალო მდგომარეობა ხვედრია ხელოვნებისა და აწყურელი რა ქუდბედიანია, რომ მას მაინც ასცდენოდა ესა.

თითქმის მეორმოცდაათე წელია, რაც აწყურელმა მსახიობობა იწყო და ამ ხნის განმავლობაში მთელი თავისი გატაცებით იწოდა და იფერფლებოდა იმ სცენაზე, საცა თვითმპყრობელობისაგან დევნილ ქართულ აზროვნებამ და გრძნობამ თავი შეაფარა. აწყურელიც აქ ჩასაფრდა და ეზოპის ფანრებით ებრძოდა ცხოვრების უმგვანობას. მისი ამპლუა კომიკური როლები იყო და იგი, როგორც კახეთის სიტყვა — ისე წამოუშენდა ხოლმე სცენიდან დამცინავ. განმანადგურებელ ხორხოშელებს, მისი ხალასი ნიჭი დააფასა ისეთმა სიტყვაძვირმა და ფრთხილმა მოაზროვნემ, როგორიც ილია ჭავჭავაძე იყო. მან ჰამლეტის რეცენზიაში აქო აწყურელი, რომელსაც მესაფლავის როლი შეესრულებინა.

აწყურელის ღირსება იმით უფრო ძლიერდება, რომ იგი ერთი იმ პიროვნებათაგანია, რომელთაც იკისრეს სცენიური ხელოვნების დემოკრატიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ იგი ამშვენებდა თბილისის ქართულ დრამის გუნდსა და შეეძლო მათთან განეგრძო მოღვაწეობა —მან არჩია პროვინციაში მუშაობა და უმეტეს შემთხვევაში კახეთში ტრიალებდა. კახელ მოსახლეობას ანიჭებდა განცდებით მდიდარ ემოციებს. მან სოფლისკენ მაშინვე ჰქმნა პირი, როცა ეს ლოზუნგი არც კი იყო დაბადებული.

აწყურელი დრამატურგიც არის. მას აქვს დაწერილი ოცი ვოდევილი. მათში პოპულიარულია „ორი მშიერი", „საცოლე ერთი საათით", „დასჯილი", „ბებერის საღერღელი", „ცოლქმრობის წინააღმდეგ" და სხვა, რომელნიც ძველს კრებულებსა და ჟურნალებშია მოთავსებული.

აწყურელის ბედი პირად ცხოვრებაში მეტად მოშავკუპრული იყო. მაშინ, როდესაც იგი აუდიტორიას „სიცილით კუჭებს უხეთქავდა" — მისი შინაგანი ქვეყნის წიაღში ჰქვითინებდა მისი სული მეფე ლირის ბრძანებით მოფრიალე; მან განუსაზღვრელ მწუხარებას ვერ გაუძლო და მხედველობა დაჰკარგა, დაბრმავდა.

იყო და არა იყო რა.

იყო მსახიობი სცენის მშვენება...

სიცილის შადრევანი... და დაშრა ეს შადრევანი... აღარ არის მსახიობი, ვინაიდან უსინათლო მსახიობი წარმოუდგენელია.... არის მხოლოდ აჩრდილი ოდინდელი სცენის ქურუმისა...

ეს ფიქრები მომეკმივდნენ, როდესაც აწყურელი ვინახულე. იგი სცხოვრობს თელავის იმ უბანში, რომელიც მის ბედსავით [illegible]-ჩოლროებულია და ატალახებული, ოთახი მიწური, ბნელი, ნესტის დამბნედი სუნი და სილატაკე... თითქმის იობის სილატაკე.

ცრემლები ყელში მომებჯინა და ფარსაგად ვერც კი გამოვესაუბრე. ისევ თვითონ ამეტყველდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი გაჭირვებას ძალიან გაუნადგურებია, მაინც შერჩენია ძველებური სულის უბზარობა. და გაცოცხლდნენ ფერადი მოგონებანი გარდასულ დროთა: ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, საფაროვი, გუნია, ოლ. გაბუნია ალექს. ყაზბეგი, ახოსპირელი, შალვა დადიანი"..

ვუსმენდი და ვრწმუნდებოდი, რომ ყოველ ხელოვნის გულში ანთია პრომეთეოსის ნაპერწკალი. და ეს ნაპერწკალი ალაპარაკებდა ისეთის გატაცებით ხელოვნებაზე... მან მალე ჭიანურსაც მოჰკიდა ხელი და თავისი ჩივილი უსინათლობაზე სიმთა ვალალებაში გადმოაფრქვია... მე მეგონა ჭიანურის მოქვითინე ჰანგები დაეძებდნენ მეგობრებს, საზოგადო მოღვაწეებს და ამხელდნენ: რისთვის, რისთვის დაგვივიწყეთო... აწყურელი ნაცნობ-მეგობრებს აღარ ახსოვთ, თორემ ხელისუფლებას არ დაუვიწყნია. მას ეძლევა პენსია ოცდა ექვსი მანეთი. მაგრამ რას ეყოფა მარტო ეს ცოლშვილიან საპყარს? მარტო იმ ბუდრუგანა ოთახის ქირას რამდენი უნდა და ახლა კვება, ჩაცმა?

თელავის საზოგადოებამაც, საქართველოს მსახიობებმაც და მისმა მეგობრებმაც უნდა თავს იდვან ზრუნვა საყვარელ მსახიობზე. თორემ სიკვდილის დროს მათ მიერ მიძღვნილი ყვავილები და სიტყვები დაცინვა და შეგინება იქნება აწყურელისა.

სმენა, გაგონება!

**დ. თურდოსპირელი.**

# სასარგებლო მუშაობა

ერთობ სამწუხარო მდგომარეობაშია რევოლიუციონური მოძრაობის შესწავლის საქმე მთელ საქართველოში. უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენ ვერ გამოვიჩინეთ საქმის საკმაო ცოდნა და უნარიანობა მასალების დაგროვების საქმეში. აქ შეიძლება ისიც იყოს დამნაშავე, რომ ჯერ ვინც კი ამ საქმეს ხელი მოკიდა, მხოლოდ თავისი პირადობის განდიდებაზე ფიქრობს და არა ისტორიული სინამდვილის აღსადგენი მასალების დაგროვებაზე.

მაგრამ ამ მხრით ცოტა რამე მაინც კეთდება საქართველოს სხვა კუთხეებში. ქართლი და კახეთი კი აქაც ჩამორჩენილია.

ამიტომ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ქ. გორის ყოფილ მენშევიკთა ბიუროში მომუშავე ამხ. როსებაშვილისა და ეფრემიძის ინიციატივით სამაზრო აგიტპროპის განყოფილებასთან დაარსებულა ბიურო, რომელსაც მიზნად დაუსახავს ამ ნაკლის შეძლების და გვარად გამოსწორება.

ბიურომ თავის მხრით მთელი მაზრა დაჰყო შვიდ რაიონად: გორისა, ხაშურ-ბორჯომისა, გომისა, წითელქალაქისა, ქვემო - ჭალისა, მეჯვრისხევისა და ცხინვალისა.

მასალების შეკრებას ხელმძღვანელობენ ძველი, მუშები: ამხ. ნესტორ ქორეჰაშვილი, სიმონ ბაბლიძე, სოსო მახარაშვილი და თვით ბიუროს დაარსების ინიციატორები ეფრემიძე. და როსებაშვილი. ხოლო მთელ ბიუროს ხელმძღვანელობს ამხ. ი. მხეიძე.

ბიურომ წინასწარი მოქმედების გეგმა უკვე გამოიმუშავა. შეადგინა შესაფერი კითხვარი და მოწოდებები, დაგზავნა რაიონებში ამხანაგები, მუშაობის ნიადაგის მოსამზადებლად.

როგორც სჩანს, მუშაობა ფრიად საგულისხმიერო იქნება, მით უმეტეს, რომ მასალების შეკრება, გეგმის მიხედვით, უნდა ეხებოდეს არა მარტო რევოლიუციონურ ეპიზოდების, კერძო აქტების პორტრეტების აღწერას, არამედ თვით მხარის იმ დროინდელ სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობის შესწავლას.

ყოფილ მენშევიკთა ასეთ ინიციატივას პარტკომიც დიდის თანაგრძნობით შეხვდა და ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა აღუთქვა.

ჩვენ გვწამს, რომ ხსენებული ბიურო აღადგენს 1905 წლის ქართლს მთელი თავისი სიგრძე-სიგანით და ისტორიისათვის მრავალ ძვირფას მასალას შესძენს საქართველოს სარევოლიუციო მუზეუმს.

**ქართლელი.**

# ყოფ. მენშევიკის ხმა

მეშვიდე წელია, რაც საქართველოს მენშევიკური პარტია შეურიგებელ პოლიტიკურ ბრძოლას აწარმოებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მეც ვღებულობდი მონაწილეობას, როგორც ერთი აქტიური წევრი მისი ორგანიზაციისა და მჯეროდა, რომ ვაკეთებდი მშრომელი ხალხის და ერის საქმეს, ვიბრძოდი სოციალიზმისათვის. მაგრამ ფაქტებმა და სინამდვილემ დამარწმუნეს, რომ მე ვცდებოდი, ჩემი სუბიექტიური განწყობილება იყო რომანტიული და ობიექტიურად ვაკეთებდი ისეთ საქმეს, რითაც ზიანს ვაყენებდი სწორედ ჩვენს ერსა და მუშათა კლასს. დაკვირვებისა და საბჭოთა ხელისუფლების მუშაობის შესწავლის შემდეგ, ნათლად დავინახე, რომ საქართველოში მის ხელმძღვანელობით გაკეთებულია დიდი ეროვნული და სოციალისტური საქმე.

იმპერიალისტური და სამოქალაქო ომით განადგურებული წარმოება და სოფლის მეურნეობა უკვე აღდგენილია, გაუთანასწორდა ომის წინა დროის დონეს და ჩქარი ტემპით განაგრძობს შემდეგ განვითარებას. მუშათა ხელფასი იმდენათ აწეულია, რომ მისი შედარებაც კი არ შეიძლება საქართველოს გასაბჭოების წინა დროსთან. მუშათა საკითხი საერთოდ, როგორც მუშათა ჯანმრთელობა, საბინაო საქმის მოგვარება, შრომის ყველა პირობების დაცვა და სხვა იმდენად რადიკალურად არის გადაწყვეტილი, რომ არავის შეუძლია რაიმე პრეტენზია განაცხადოს, უკმაყოფილო იყოს. იმდენათ თვალსაჩინოა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული განვითარება წინსვლა, რომ ვერც ამ მხრივ დაემდურება ხელისუფლებას ვერავინ. არავის შეუძლია სთქვას, რომ ასეთ მოკლე დროში, ამდენი მიღწევები ჰქონდეს საქართველოს, ამდენი რამ გაკეთებულიყოს ეროვნულ ფრონტზე. სახელმწიფოს აპარატი არას დროს არ ყოფილა და არც შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო, რადგან მხოლოდ ეხლა მართავს მას მშრომელი ხალხი, ფართე მშრომელი მასებისათვის ისე მისაწვდომი, ისე სასარგებლო, როგორც საბჭოთა ხელისუფლების დროს.

ვაღიარებ რა ჩემს ძველ შეცდომას, ამიერიდან მინდა აქტიურად ვიმუშაო ხელისუფლებასთან და როგორც აღმშენებლობითი მუშაობაში, ისე პოლიტიკურად ვდგები ახალგზელის რიგებში. **დავით ჯაფარიძე.**

# წერილი პროვინციიდან

## ბორჩალოს მაზრა

სულ რამოდენიმე წლის უკან ბორჩალოს მაზრა, ჯერ მეფისა და შემდეგ საქართველოს დემოკრატიული მთავრობის პოლიტიკის გამო გადაქცეული იყო ეროვნებათა შორის მტრობის ადგილათ. ქართველები, სომხები და თათრები უხეირო პოლიტიკის გამო გადაკიდებული იყვნენ ერთმანეთს და აწარმოებდენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას. შეუძლებელი იყო ფიქრიც კი პატიოსან შრომაზე. შეიარაღებული დღე და ღამე ან იცავდენ თავიანთ ცოლშვილს თავდასხმისაგან ან და თვით ესხმოდენ თავს სხვას. აქედან ბუნებრივი იყო მხარის ჩამორჩენილობა და სიღარიბე. ამ საშინელი მდგომარეობის შედეგი იყო უსწავლელობა და სიბნელე.

მაგრამ რას ვხედავთ დღეს? ბორჩალოს მაზრის გლეხობას აღარ უხდება იმაზე ზრუნვა, რომ მის ოჯახს თავს დაესხმიან და მოსტაცებენ ყოველივეს რაც კი გააჩნია. დღეს ის მხოლოდ მაზედ ფიქრობს, თუ როგორ უკეთესად მოაწყოს თავის მეურნეობა, როგორ მიაღებინოს შვილებს სწავლა და სხვა. მოსახლეობა სრულიად დაიმედებული შესდგომია შრომას და დარწმუნებულია მასში, რომ მისი ნაშრომი მას მოხმარდება.

— იბადება კითხვა: ვინ მიანიჭა ბორჩალოს მშრომელთ ეს ბედნიერება? ვინ, ან ვისმა სწორმა ეროვნულმა პოლიტიკამ აღმოფხვრა ყველა ის საშინელებანი, რომელიც ასე მძვინვარებდა ბორჩალოს მაზრაში?

ეს არის საბჭოთა ხელისუფლება და მისი ხელმძღვანელი კომპარტია თავის სწორი ეროვნული პოლიტიკით.

და ტყუილად კი არ არის აქაური გლეხობა საბჭოთა ხელისუფლების მადლიერი. მან თავის ზურგით გადაიტანა მთელი საშინელება, მან თავის თვალით ნახა ყოველივე და მისი მოტყუება ეხლა ეგრე ადვილი როდი არის. ის დღეს კარგად სცნობს მტერს და მოყვარეს და ყველგან გვესმის შემდეგი სიტყვები: „ჩვენ მთელი ჩვენი ძალღონით დავიცავთ ხელისუფლებას“. „ჩვენ ხელისუფლებასთან ვართ და ვინც მას მტრობს ის პირდაპირი ჩვენი მტერია“-ო და სხვა.

ყველა სოფლებში გახსნილია სკოლები, სადაც ათასობით ახალგაზრდობა სწავლობს, რომლებიც სათავეში ჩაუდგებიან შემდეგ ბორჩალოს კულტურულ ცხოვრებას.

**ონ. ნებიერიძე.**

სარედაქციო კოლეგია

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა. კამოს ქუჩა № 68.